საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 17 თებერვალი. 2021 წ. №33 (9152) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მელიავ, თავად მონავ, პირწმინდად ფსიქიატრიულის პაციენტი ხარ!

ნიკა მელია: მონებო, ვერ გამასამართლებთ, მონა ვერ გაასამართლებს საქართველოს ვერც ერთ ღირსეულ მოქალაქეს!..

საკუთარმა ენამ დაღუპა

„ძართული ოცნება“ ამ დანაშაულებრივი, სულელური, უკანონო, უსამართლო სპირალიდან ვეღარ გამოძვრება. ყველა დეპუტატს მოუწევს ამ ქვეყნისთვის ბოდიშის მოხდა, რადგან ეს ხალხი, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტების სხდომის მიმდინარეობისას, არ არიან დამოუკიდებლები. ადვოკატები რატომ არ შეუშვეს, რისი უფლებაც ჰქონდათ მათ. იმიტომ არ დაუშვეს, რომ კითხვებს დაუსვამდნენ პროკურორს და ვერ გასცემდა პასუხს, მე ვუპასუხებ აქედან. უსირცხვილოდ რომ საუბრობდა, დეკემბრიდან მოყოლებული, რომ ჰკითხეს, თუ მელია დასაჭერი იყო, ორი თვე რას ელოდებოდითო, რა პასუხი გასცა, სანიმუშოდ იქცეოდა მთელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში და ამიტომ ვაცადეთ ორი თვეო. გეტყვით, როგორ სანიმუშოდ ვიქცეოდი. იმ გადაწყვეტილებით, სადაც ერთ-ერთ პუნქტად სამაჯურის გაკეთება დამევალა, ასევე აკრძალული მქონდა სიტყვით გამოსვლა ნებისმიერ საჯარო სივრცეში და სახლიდან გამოსვლისას აუცილებლად უნდა დამერეკა პროკურორისთვის. არც პროკურორს ვურეკავდი და რამდენჯერ ვარ სიტყვით გამოსული საჯარო სივრცეში, კამპანია ჩავატარე, ანუ ვარღვევდი იმ გადაწყვეტილებას. მაშინ რატომ არ ვიყავი დასაჭერი?!

დამონებული ჰყავთ ყველა. შეხედეთ, ისინი არიან მონები, ვერ დამიჭერენ, გამორიცხულია. მდინარაძე, კობახიძე, თალაკვაძე, ივანიშვილი, მურუსიძე, არასოდეს ვიყენებდი ამ ფრაზას, ვცდილობდი მეთქვა, რომ ესენი არიან უსიტყვო მორჩილებაში, ახლა უნდა ვთქვა, ესენი არიან მონები. მონებო, ვერ გამასამართლებთ. მონა ვერ გაასამართლებს საქართველოს ვერც ერთ ღირსეულ მოქალაქეს. შეეგუეთ ამას. ჩიგოგიძეები, თალაკვაძე, მდინარაძე, კობახიძე, ბექა ოდიშარია, მონები, ივანიშვილის მარიონეტები. ვერ დამიჭერთ, გამორიცხულია. მეტიც, გაგიწყდებათ ის ჯაჭვი, რომელიც მყარი გეგონათ და გეგონათ, უკანონობით, უსამართლობით ფონს გახვიდოდით მუდამ. თავს არ დავხრით, პირიქით, წელში გავიმართებით და ამ სახელმწიფოს ექნება დამოუკიდებელი ინსტიტუტიც, დამოუკიდებელი იქნება სასამართლო სისტემაც, მართლმსაჯულებაც, პარლამენტი პარლამენტს დაემსგავსება. არ გაგიფორმებთ მოპარულ არჩევნებს. თვალებში გიყურებთ, თქვენ ხართ მონები, გავრილოვის არა, ბიძინა ივანიშვილის მონები ხართ. ბიძინა ივანიშვილს თავის მხრივ რომ ჰყავდეს მონები თქვენი სახით, მას აწყობს, რომ იყოს სხვისი მონა. ის არის სხვისი მონა. გავრილოვის და მისი ხელმძღვანელობის. მატრიოშკაში ხართ, მონა, მერე პატარა მონა, მონა, მონა. სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, უსამართლობას არ შევეგუები. როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს თითქოს კანონის სახელით გასამართლება ხალხის. მე რომ პარლამენტში შევსულიყავი, ალეკო ელისაშვილებს ვეკითხები, რომ შემოვსულიყავი, დღეს პროკურორი იქნებოდა პარლამენტში ჩემს გასასამართლებლად მოსული? რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, რადგან ნიკა მელია აღარ დაგჭირდებოდათ, თქვენნაირი მონა ვიქნებოდი უკვე და ნიკა მელიას დაჭერა რაღაში დაგჭირდებოდათ. თავი რახან არ დაგიხარეთ, ახლა მასამართლებთ თქვენი ჭკუით. ე.ი. სწორად მოვიქეცი, რომ არ შემოვედი და თქვენნაირი მონა არ გავხდი მე და არც ერთი ოპოზიციონერი. საკუთარ პრინციპებს მუდამ გავუფრთხილდები. გგონიათ, ციხეში გამიშვებთ? ვერ ეღირსებით, რადგან მონა ვერასდროს გაასამართლებს და დააპატიმრებს ამაყ მოქალაქეს, განსაკუთრებით 20 ივნისის საქმის გამო“, — განაცხადა ნიკა მელიამ.

პარლამენტის გადაწყვეტილება პრინციპულია!

პარლამენტმა ნიკა მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი შეუჩერა. საკითხს მხარი დაუჭირა 88-მა დეპუტატმა, 2 კი წინააღმდეგი იყო. პარლამენტის ამ გადაწყვეტილების შემდეგ პროკურატურას ეძლევა შესაძლებლობა, ნიკა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართოს.

პროკურატურამ სასამართლოსაც მიმართა!

ნიკა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით პროკურატურა სასამართლოს დღესვე მიმართავს, — ამის შესახებ პროკურორმა ამირან გულუაშვილმა განაცხადა.

„საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა ის სამართლებრივი არგუმენტაცია, რაც გააჩნდა ბრალდების მხარეს ნიკა მელიას საქმესთან დაკავშირებით. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით კიდევ ერთხელ დადასტურდა ფაქტი იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების, როგორც კანონის მოთხოვნების შესრულება, სავალდებულოა ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად მისი თანამდებობისა თუ პოლიტიკური კუთვნილებისა. საპარლამენტო იმუნიტეტი არ წარმოადგენს ინდულგენციას არცერთი ადამიანისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით. რაც შეეხება შემდგომ პროცედურებს, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვა, რისი უფლებამოსილებაც გააჩნია ბრალდების მხარეს. ბრალდების მხარე უზრუნველყოფს შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენას თბილისის საქალაქო სასამართლოში“, — განაცხადა ამირან გულუაშვილმა.

მზე... ამოსევდილი — ლევან გოთუა 8

თამარ შაიშმელაშვილი

დიდ წარსულთან ახლოს

რას გვასწავლის დედა ილუმენია... 9

ქინვალისა და ზაჰესის სწორმა ოპერირებამ 3 თბილისის რიყის უბანი დატბორვას გადაარჩინა!..

გველების შემოსევა

როგორც ქმრები, არიან ცოლებიც, ჩუმად რომ ღალატობენ ოჯახს. არიან ცოლები, როგორც ქმრებიც, ოჯახს აშკარად რომ ღალატობენ. ცხადია, ორსავე შემთხვევაში ინგრევა ოჯახი, რაც მაინცდამაინც არც მოღალატე ქმარს ანაღვლებს და არც მოღალატე ცოლს. ანდა რომც ანაღვლებდეთ, ამით წყალშეყენებულ ოჯახს რა! არანაკლებ უარესია, როცა ერთ-ერთია მოღალატე, რომელიც განზრახ ანგრევს ოჯახს, რათა გულისწადილი აისრულოს თავის ახალ, იქნებ სულაც ძველ სიყვარულთან ერთად, რომელი სიყვარულისგანაც უხვ გამორჩენას ელის.

დაახლოებით ასეთი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა ამჟამინდელ საქართველოში, რომლის დანგრევასაც ჯიუტად ცდილობს (გინდ ცოლი ვთქვათ და გინდ — ქმარი) ოჯახის ერთ-ერთი მოღალატე წევრი, უკვე თავზე ხელაღებული და თავის თავზე ხალხის აზრის უგულებელმყოფელი.

დიდად სამწუხაროდ, ამდაგვარი ოჯახის დამანგრეველი მოღალატენი კარგა ბლომად მომრავლდნენ. თუ საქართველოს ერთ მთლიან, ოდითგან სინდის-ნამუსით შეკრულ ოჯახად წარმოვიდგენთ, აშკარა გახდება, ავი ზრახვანი ქვეყნის მოღალატეთა, რომელთა შავი მიზანიც ამჯერად თავიანთი ძველი სიყვარულის (მეწველ ძროხად წარმოვიდგინოთ), ანუ ხელისუფლების ხელში ჩაგდებაა, ქვეყნისთვის, ჩვეულებისამებრ, ლაგმის ამოდება და უტიფარი პარპაშია.

ხალხში უკვე გაჩნდა, რაც ყოველ დროში და ხანაში ხდებოდა, ამ მძიმე მოვლენის თავისებური შეფასება. მოღალატეთა ბოლოდროინდელი ბოროტი საქციელი ხალხმა გველების შემოსევად მონათლა. ამ ორ სიტყვაში, ამ სიტყვათშეერთებაში მართლაც ზუსტად არის გამოხატული ყველა სალად მოაზროვნე საქართველოს მოქალაქის აზრი. არადა, ყველა სხვაგვარად შეფასება ნამდვილად არასწორი იქნებოდა.

აბა, სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ეგრეთ წოდებულ „პირველ" ტელეარხზე ეგრეთ წოდებული „რეაქცია", რასაც კარგა გვარიანად ჩაპუტკუნებული პოლიტიკური მაჭანკალა, „ოცნების" მარად მღვიძარი მნესტრელი თუ მგესლელი, ფულნარისტი ინგულია უძღვება, გრიგოლიას ქალი. ღმერთმანი, გულწრფელად გაბრაზებული ვწერ. გაბრაზებით კი იმან გამაბრაზა, შაბათს „რეაქციის" სტუმრად განკვეთილი თუ განსაკვეთი პეტრე ცაავა რომ ვიხილე (რამაც გააავა, ვიცი!)!. განა პოლიტიკურმა მაჭანკალა გრიგოლიას ქალმა წინასწარ არ იცოდა, ვის იწვევდა და რა სიბინძურის კორიანტელსაც დაატრიალებდა ანაფორიანი გველი, რომელიც შიგნიდანაც ჭრელია და გარედანაც. თანაც ეს მერეაქციე ფულნარისტი ჩვეულებისამებრ მსახიობად იქცა და ეკლესიის, კერძოდ, პატრიარქის დამცველად გარდაისახა. ამ მაცდური, ეშმაკური გზით კი თანდათან გაუგონარი სიბინძურის სიღრმეებში შეიყვანა დიდი ამბით მიწვეული ეშმაკეული პეტრე. აბა, სხვა რა მიზანი ჰქონდა ამ წვერმოშვებული (უთუოდ გასაკრეჭის!) პროვოკატორისა და დემაგოგის სტუმრობას!

რახან „პირველზე" ჩამოვაგდეთ სიტყვა, აქვე უნდა ვახსენოთ მეორე პირველელი ფულნარისტი, ვინმე მაია მამულაშვილი, რომელიც ტყუილებისა და ცილისწამების ფრქვევაში იქნებ არც ჩამოუვარდება რეაქციონერ გრიგოლიას ქალს. ერთ-ერთ გადაცემაში ჩართო ცხინვალში დატყვევებული ზაზა გახელაძის დედა, ხოლო სანამ ამ მწუხარე ქალს აალაპარაკებდა, თავად გვამცნო, რომ ვითომ ზაზას ციხიდან წერილი გამოუგზავნია, სადაც საქართველოს ხელისუფლებას ლანძღავს, პუტინს უძვრებიანო, მე კი არა, საერთოდ ხალხი არ ახსოვს საქართველოს მთავრობასო. დედის პირველივე სათქმელი ის იყო, რომ ზაზას არავითარი წერილი არ გამოუგზავნია. ფულნარისტმა მამულაშვილმა ხან აქედან უტრიალა ზაზას დედას, ხან იქიდან, მაგრამ მთავრობის აუგი ვერ ათქმევინა. პირიქით, მთავრობა ძალიან გვეხმარება და სწორედაც მთავრობის იმედი გვაქვსო...

„შაბათის ნოდარ მელაძეში", რასაკვირველია, ისევ და ისევ „პირველზე" ყოფილმა დიდმოხელე გოგაშვილმა პირდაპირ ეთერში ერთხელ კიდევ გააბითურა ეს ჩვენი პირღნიოში ნოდარა, რომელსაც სინდისი არა ქენჯნის (რაც არა აქვს, რამ უნდა ქენჯნოს!) და ენაგაფარაღათებული ლაქლაქებს ლამის მთელი სამი საათი. ბევრი ეცადა ეს ისევ გვარამიელი ფულნარისტი ვითომ მღვდლის გიორგი მამალაძის გამართლებას, მაგრამ მობილური უნიტაზში ჩაუვარდა (აბა, კოვზსა და ნაცარს „პირველზე" რა უნდა!), ანუ აშკარა გახდა, რომ მამალაძე კრიმინალია, თანაც საშიში კრიმინალი. საერთოდ, ეს მელაძე თუ მელია (მელია მელიაა, რა გვარისაც არ უნდა იყვეს!), თავად ხომ ნეხვში ტოპავს და თავის თმაგრძელ და ჭკუამოკლე გოგოებსაც პოლიტიკურ წუმპეში ატოპინებს!

ცხადია, ეგრეთ წოდებულ „მთავარზე" (მტარვალზე) ახალს არაფერს არ ვიტყვი, მაგრამ უთქმელობა ნამდვილად არ ეგების. ამ ჩვენმა კუპაჭია თუ პუჭურა გვარამიას ბიჭმა ერთხელ კიდევ მოუყარა თავი ეგრეთ წოდებულ ოპოზიციონერებს და გამართა დისკუსია თემაზე: აქვს თუ არა პროტესტს აზრი? პროტესტს ეძახის ის საბოტაჟს, ბოიკოტს, პროვოკაციას, დემაგოგიას (დანარჩენი შენ მიუმატე, მკითხველო, ამ სიას მსგავსი შინაარსის სიტყვები!) და პირდაპირ შეტევაზე გადავიდა, თუ პროტესტმა არ გაჭრა, ისეთ ღონისძიებას უნდა მივმართოთ, რომ ივანიშვილის დატოვებული ხელისუფლება ისე უნდა მოვიშოროთ, როგორც დამპალი კბილიო. გაზაფხულს რას ელოდებითო, ყვავილები ხომ არა ხართ, რომ ამოხვიდეთო?!

და, რაც მთავარია, თავის ოცწუთიან ქადაგებაში ახალი მცნება ჩამოაყალიბა: „ოცნება" თურმე „დესამშობლოიზაციის პოლიტიკას" ეწევა!.. „დესამშობლოიზაცია" გვარამიას პატრიოტული პოლიტლექსიკონის ახალი შედევრია...

დასასრულ, ისევ ხალხურ სიბრძნეს მივუბრუნდები. რაც ეგრეთ წოდებული გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ამჟამად ხდება, სხვას ვერაფერს ვერ დაარქმევ, თუ არა ქვეწარმავალთა შემოსევას, დაახლოებით ისე, კალიებმა, უფრო სწორად, ბოცომკალებმა რომ იციან შემოსევა, როცა შავ ღრუბლებად დააწვებიან ხოლმე გასანადგურებლად შესეულ ქვეყანას.

რაც შეეხება ურთიერთდამოკიდებულებას აშკარად ქვეყნის მტერ, მავნებელ ნაციონალებსა და წვრილწვრილ პარტიაკუნებს, ახლად გაბერილ (გაჩალაძებულ) ნაციონალებს მიტმასნილთ და აკიდებულთ, ზედგამოჭრილია ერთი ძველი და მუდმივად ახალი ქართული ანდაზა: გველი ეკალზე იყო გადაკიდებული, კაცმა დაინახა და თქვა: ჭირი ჭირს გადაჰკიდებიაო...

გურამ წიკლაური

პრემიერ-მინისტრი ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს, შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრ ენ ლინდეს შეხვდა, — ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

საუბრის ძირითადი თემები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მდგომარეობა, რეგიონში არსებული ვითარება და მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები იყო.

გიორგი გახარიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, განაგრძოს შვედეთის სამეფოსთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათ შორის ეუთოს თავმჯდომარეობის პერიოდში, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად შვედურმა მხარემ ეუთოს რეგიონში კონფლიქტების გადაჭრა დაისახა.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის საოკუპაციო ძალის პროვოკაციულ ქმედებებსა და მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე, მათ შორის საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოქალაქეების დაკავების ფაქტებზე. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქე ზაზა გახელაძის დაკავების და ცხინვალის დე ფაქტო სასამართლოს მიერ მისთვის უკანონო პატიმრობის შეფარდების მძიმე ფაქტს.

საუბარი შეეხო ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ფორმატების ეფექტიან ფუნქციონირებასა და მნიშვნელობას. ენ ლინდემ საქართველოსადმი ეუთოს მხარდაჭერა კონფლიქტის გადაჭრასა და ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით კიდევ ერთხელ დაადასტურა. შეხვედრისას, ასევე ყურადღება დაეთმო ქვეყანაში განხორციელებულ და მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს, რომლებიც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების გაძლიერებას ისახავს მიზნად.

კარლ ჰარცელი: ვაქცინაცია წარმატებით განხორციელდება

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე ევროკავშირის ელჩს კარლ ჰარცელს შეხვდა, სადაც ვაქცინასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ევროკავშირის დაფინანსებით COVID-19-ზე გადაუდებელი რეაგირების პროექტის ფარგლებში განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებს. ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი იმედოვნებს, რომ საქართველოში ვაქცინაციასთან დაკავშირებული ყველა პროცესი წარმატებით განხორციელდება.

„შეხვედრაზე ვაქცინაციასთან დაკავშირებით ვისაუბრეთ. განვიხილეთ ამ პროცესში ევროკავშირის ჩართულობა. ჩვენ საქართველოს სამედიცინო აღჭურვილობა გადავეცით, რათა სამედიცინო პერსონალმა უსაფრთხოდ იმუშაოს. მჯერა, რომ ვაქცინაციასთან დაკავშირებული პროცესები წარმატებით განხორციელდება", — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა.

აცრებისთვის აქტუალურად ვემზადებით!

ვაქცინაციისთვის მზადება და ქვეყნის ვაქცინებით უზრუნველყოფის პროცესი განიხილა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჯანდაცვის სფეროს ექსპერტებთან შეხვედრაზე, რომელიც დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

მათი ცნობით, შეხვედრისას აღინიშნა, რომ მოქმედ შეზღუდვებსა და დადგენილი რეგულაციების დაცვასთან ერთობლიობაში, ვაქცინაცია არის კოვიდ-19-ის დამარცხების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა და ამ პროცესისთვის ქვეყანა აქტიურად ემზადება. უკვე შექმნილია ვაქცინაციის ეროვნული გეგმა, რომელიც წლის ბოლომდე ზრდასრული მოსახლეობის 60%-ის ვაქცინაციას ისახავს მიზნად და დაწყებულია გეგმით განსაზღვრული ნაბიჯების განხორციელება.

ამასთან, ხელისუფლება რამდენიმე მიმართულებით აქტიურად მუშაობს, რათა საქართველოში ვაქცინები, COVAX-პლატფორმასთან ერთად, სხვა ალტერნატიულიგზებითაც იყოს ხელმისაწვდომი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყანაში ვაქცინის შემოსვლის უმთავრესი წინაპირობა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისგან მიღებული ოფიციალური ნებართვა და მისი საერთაშორისო აღიარებაა.

შეხვედრისას ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს მსოფლიოში ვაქცინების წარმოებასა და მოთხოვნას შორის არსებულ გამოწვევებზე. აღინიშნა, რომ მათ შორის ევროკავშირის მასშტაბით, ვაქცინაციის პროცესი ფერხდება.

„ჩვენ ისტორიული პროცესის მონაწილეები ვართ“

ენერგეტიკული მინისტრიალი ბაქოში

ბაქოში, ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაზის სამხრეთკავკასიური დერეფნის პროექტის საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა.

აზერბაიჯანული სააგენტო „Trend“-ის ცნობით, სხდომა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გახსნა. მან მადლობა გადაუხადა ყველა პარტნიორს (საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, ალბანეთი და იტალია), რომელმაც სამხრეთკავკასიური დერეფნის პროექტის რეალიზებაში მიიღო მონაწილეობა.

როგორც ალიევმა აღნიშნა, აზერბაიჯანი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც კასპიის ზღვაზე სამუშაოდ უცხოური ნავთობკომპანიები მიიწვია.

„1999 წელს ჩვენ ექსპლუატაციაში გავუშვით მილსადენი, რომელიც ბაქოდან ქართულ პორტ სუფსამდე გადის. ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო შემდგომი ინვესტირების თვალსაზრისით, რადგან მანამდე მსოფლიო ბაზარზე გასასვლელი არ გვქონდა. აზერბაიჯანი არის ქვეყანა, რომელსაც სხვა ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. ამდენად, სასიცოცხლოდ გვჭირდებოდა მილსადენები. ამგვარად, 1999 წელს ჩვენმა მიღწევამ მნიშვნელოვანი ცვლილება მოიტანა. მოგვიანებით დავიწყეთ ჩვენი მუშაობის დაგეგმვა, რომელიც ძირითად ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს უკავშირდებოდა. იგი ექსპლუატაციაში 2006 წელს ჩაეშვა. ეს ნიშნავდა კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების შეერთებას“, — აღნიშნა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, რომლის შეფასებით, ბაქომ მიწოდების მარშრუტების დივერსიფიცირებას მიაღწია.

„2007 წელს ჩვენ დავასრულეთ აზერბაიჯანიდან საქართველოში, იქიდან კი თურქეთში მიმავალი მილსადენის მშენებლობა. თავისთავად ესეც სიახლე იყო ისტორიაში — აზერბაიჯანმა გაზით მეზობელი ქვეყნების მომარაგება დაიწყო. და ბოლოს, 2012 წელს, ევროკავშირთან განცხადების ხელმოწერიდან წლების შემდეგ ჩვენ გავაფორმეთ შეთანხმება თურქეთთან პროექტ TANAP-ის რეალიზების თაობაზე. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გაზის სამხრეთ დერეფნის პროექტის რეალიზების თვალსაზრისით. 2018 წელს TANAP-ის პროექტის რეალიზების დასრულების შემდეგ 2020-ში დასრულდა პროექტი TAP-იც“, — აღნიშნა ალიევმა.

სხდომაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამაც მიიღო მონაწილეობა.

„ჩვენ ყველანი ჭეშმარიტად ისტორიული პროცესის მონაწილეები ვართ, როცა ჩვენი და რეგიონის ქვეყნების ოცნება — ევროპაში საქართველოს გავლით კასპიური გაზის მიწოდება რეალობად იქცა. უკვე ფუნქციონირებს არა მარტო სამხრეთკავკასიური გაზსადენი, რომელსაც საქართველოსთვის კეთილდღეობა მოაქვს. შაჰ-დენიზის საბადოს ათვისების მეორე ფაზის წყალობით წარმატებით ამოქმედდა პროექტი TANAP, ახლა კი — ტრანსადრიატიკული მილსადენიც (TAP)“, — განაცხადა თურნავამ.

აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრმა ფარვიზ შახბაზოვმა კი შეხვედრაზე აღნიშნა, რომ წელს აზერბაიჯანიდან საქართველოში დაახლოებით მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ექსპორტია დაგეგმილი, თურქეთში კი — სულ მცირე 8-ის.

გაზის სამხრეთ დერეფანი სამი მილსადენისგან შედგება: სამხრეთკავკასიური გაზსადენისგან (SCPX), ტრანსადრიატიკული TANAP-ისა და TAP-ისგან. ტრანსადრიატიკული გაზსადენით ხორციელდება შაჰ-დენიზის საბადოდან ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება ევროპაში აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, საბერძნეთის, ალბანეთის გავლით, ადრიატიკული ზღვის კვეთით კი მილსადენი აღწევს იტალიის სამხრეთ სანაპიროს. ევროპას 5 მლრდ-ზე მეტი კუბური მეტრი აირი მიეწოდება.

„აქცენტი“

ნამახვანჰესის მოწინააღმდეგეთა საყურადღებოდ!

ჟინვალისა და ზაჰესის სწორმა ოპერირებამ თბილისის რიყის უბანი დატბორვას გადაარჩინა!..

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მერაბ გაფრინდაშვილი ქვედა ნამახვანჰესის საპროექტო არეალში გეოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმიანება, ავტორების მოსაზრებებს არ იზიარებს და იმ დადებითზე ამახვილებს ყურადღებას, რისი მოტანაც გარემოს დაცვის კუთხით ჰესებს შეუძლიათ.

„არავინ აქცევს ყურადღებას იმ დადებითს, რაც გარემოს დაცვის კუთხით ჰესს შეუძლია მოგვიტანოს. ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც, ისეთ ტერიტორიებზე, სადაც მეწყრულ-გრავიტაციული და ეროზიულ-დატბორვითი პროცესები ხშირია, თუკი ხდება წყლის ნაკადების რეგულირება წყალსაცავების მეშვეობით, ბუნებრივი საფრთხე სულ მცირე, 30-50%-ით მცირდება. რატომღაც გვავიწყდება, რომ ჟინვალისა და ზაჰესის სწორმა ოპერირებამ თბილისის რიყის უბანი (ე.წ. „პესკები“) ორჯერ დატბორვას გადაარჩინა“, — ამბობს მერაბ გაფრინდაშვილი.

რაც შეეხება ქვედა ნამახვანჰესის საპროექტო არეალში, ქვედა ონჭეიშში, სოფელ მოლეკურაში რამდენიმე დღის წინ სხვადასხვა მასშტაბის ქვათაცვენის გააქტიურებას, როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი აღნიშნავს, გეოლოგიური სამსახურის მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე მუდმივად ხორციელდება პოტენციურად საშიში უბნების იდენტიფიცირება, მუშავდება პროგნოზი, გაიცემა რეკომენდაციები დამცავი ღონისძიებების გასატარებლად.

„ყველა ეს საკითხი გაშუქებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს ყოველწლიურ საინფორმაციო გეოლოგიურ ბიულეტენში, რომელიც საჯაროა და დაინტერესების შემთხვევაში ყველას შეუძლია გაეცნოს“. „არსებობს მოსაზრება, თითქოს ეს მეწყერები გააქტიურდება, მოხვდება წყალსაცავში, ეს კი წარმოშობს 30-მეტრიან ტალღას, რომელიც წალეკავს დასავლეთ საქართველოს ნახევარს. მსგავს მოსაზრებებს კატეგორიულად ვერ დავეთანხმები. მეტიც, პირდაპირ გეტყვით, რომ მოსახლეობა შეჰყავთ შეცდომაში და არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ. ქვედა ნამახვანჰესის წყალსაცავი 170 მილიონი კუბური მეტრი ტევადობისა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე არეალის ფარგლებში სხვადასხვა მასშტაბის მეწყრებია იდენტიფიცირებული, წარმოვიდგინოთ თუნდაც ისეთი სცენარი, როგორიც ფილმებშიც კი არ გვინახავს: მეწყრული მასები ერთბაშად მყისიერად ჩავა წყალსაცავში, თან ეს დროში დაემთხვევა წყლის მაქსიმალური დონის პერიოდს, ასევე დაემატება მიწისძვრები... ამ ყველაფრის შედეგადაც კი 100 000, მაქსიმუმ 200 000 კუბური მეტრი დაემატოს წყალსაცავს და შეუძლებელია, ამან 170 მილიონი კუბური მეტრი ტევადობის არეალში 30-მეტრიანი ტალღა წარმოშვას. ხოლო თუ ვინმეს საპირისპიროს დამტკიცება შეუძლია, მზად ვარ, საჯაროდ გავესაუბრო“, — განმარტავს გაფრინდაშვილი.



მისი შეფასებით, უბნები, სადაც მეწყრული პროცესებია იდენტიფიცირებული, ნამახვანჰესის საპროექტო კომპანიამ ზედმიწევნით გააანალიზა გარემოზე ზემოქმედების შეფასების წარმოდგენილ ანგარიშში. მასში მითითებულია ის დამცავი ღონისძიებებიც, რომლებიც კომპანიამ ჰესის მშენებლობა-ოპერირების პერიოდში უნდა განახორციელოს.

„როდესაც გაიცემოდა სანებართვო პირობები, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ კუთხით სხვა პირობებთან ერთად, ერთ-ერთ პუნქტად ჩაწერა, რომ აუცილებლად უნდა დაინსტალირდეს სხვადასხვა ტიპის მონიტორინგული სისტემები ცალკეულ გეოდინამიკურად დაძაბულ უბნებზე. კომპანია აღნიშნულ პირობებს დათანხმდა. მონიტორინგული სისტემების მოწყობა-ინსტალირებას სჭირდება შესაბამისი დამატებითი კვლევები და მისი შედეგები არა მარტო კომპანიას დარჩება, არამედ ის წარედგინება სამინისტროსაც, ხოლო ჰესის ოპერირების პროცესში მიღებული მონიტორინგული კვლევის შედეგები ასევე მიეწოდება სამინისტროს“, — აღნიშნავს მერაბ გაფრინდაშვილი.

სამი თვის მერე დაბრუნდებიან?!

...ეს დროებითი შრომითი მიგრაციაა და არალეგალობას ბევრად სჯობს!

საქართველოს მოქალაქეებს გერმანიაში ლეგალურად დასაქმება 3 თვით შეეძლებათ. სეზონური სამუშაოები გერმანიაში 1 აპრილიდან დაიწყება.

„საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში დროებითი დასაქმების პროგრამა მიმართულია როგორც ჩვენი მოქალაქეთა ფინანსური კეთილდღეობისთვის, ასევე ცოდნის გაცვლის მიზნით“, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა **ეკატერინე ტიკარაძემ** ჟურნალისტებთან საუბრისას.

მინისტრის განცხადებით, პანდემიის გამო აღნიშნული პროექტი 2020 წელს ვერ განხორციელდა. თუმცა, პროექტის აქტუალურობიდან გამომდინარე, ეს შეთანხმება ახლა გააქტიურდა. ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, 15 თებერვლიდან დაიწყება საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში რეგისტრაცია სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმების მიზნით.

„პროგრამა მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება. საქართველოს დასაქმების სააგენტოს უკვე გააჩნია დიდი გამოცდილება და გერმანიის მთავრობაც მზად არის მიიღოს ჩვენი მოქალაქეები.

„პროგრამა მოიცავს დროებით შრომით მიგრაციას, რომლის ვადები სამი თვით განისაზღვრა“, — განაცხადა ტიკარაძემ.

როგორც for.ge-თან ეკონომისტმა **სოსო სიმონიშვილმა** განაცხადა, გერმანიას ეკონომიკურად არ უჭირს, თუმცა ქართველების მსგავსად დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას და სწორედ, ამის აღმოსაფხვრელად უკვე წლებია მიმართავს მსგავს პროექტებს, როგორიცაა უცხოელების ლეგალური დასაქმება.

„გერმანია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეკონომიკურად ძალიან მალე დადგა ფეხზე და წარმოება ძალიან მალე გაზარდეს. თუმცა, მუშახელი გაუჭირდათ. მაშინ იყო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ახლომახლო ქვეყნებიდან, ეთნიკური გერმანელების სამშობლოში დაბრუნების პროგრამები დაიწყო და მაშინ, გერმანიაში საქართველოდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან და პოლონეთიდან ძალიან ბევრი გერმანელი დაბრუნდა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ასევე გერმანიაში ბევრი თურქი ცხოვრობს. გერმანიას თურქების ჩაყვანის პროგრამა ჰქონდა. საერთოდ, წლებია, სულ იზიდავს მოსახლეობას. მათ დემოგრაფიული პრობლემები აქვთ და ერის გამრავლება ისეთი სისწრაფით არ ხდება, როგორც მათი ეკონომიკის. იგივე პრობლემები აქვთ სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსაც. ასე რომ, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

რაც შეეხება ქართველებისთვის 3-თვიან სამუშაო ვიზებს, ძალიან ბევრი ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი, როდესაც მათ ჩვენი ჟურნალისტები კითხვებს უსვამენ — რატომ არ გასცემენ ისინი სამუშაო ვიზებს, ისინი ასე პასუხობდნენ: იმიტომ, რომ თქვენი ქვეყნის მთავრობა ამას ჩვენგან არ მოითხოვს. ამისთვის საჭირო იყო სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებების დადება. ჩვენი ქვეყნის მთავრობები ამას არ აკეთებდნენ. როგორც ჩანს, ეს ნაკლი გამოსწორდა“, — განაცხადა სოსო სიმონიშვილმა.

ეკონომისტის თქმით, გერმანიაში ქართველების ოფიციალური დასაქმება გზავნილებს გაზრდის, რომელიც შემდეგ საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებს და ასევე შესაძლოა, ამან ლარის კურსზეც კი იმოქმედოს.

პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრი **ნოდარ ტურძელაძე** პროექტის პლუსებზე და მინუსებზე საუბრობს.

ამ პროექტის დადებითი მხარე ის არის, რომ ქართველებს 90 დღის განმავლობაში ლეგალურად ექნებათ სამუშაო. ხოლო, მისივე თქმით, გერმანიაში წასულმა ქართველებმა შესაძლოა, საქართველოში დაბრუნება აღარ მოისურვონ და მიგრაცია გაიზარდოს.

„თქვენ იცით, რომ რამდენიმე წელია ქართველებს ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ შეგვიძლია მოგზაურობა. დღეს ამის პრობლემა არ არის. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც უვიზოდ მიდოდნენ და რჩებოდნენ. შესაბამისად, არალეგალები ხდებოდნენ. ეს პროექტი ამის წახალისებას არ ემსახურება. პირიქით, ამ სამი თვის განმავლობაში ჩვენს მოქალაქეებს შეეძლებათ გამოიმუშაონ ისეთი თანხა, რომელიც დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს მათთვის და მათი ოჯახებისთვის. ეს ყველაფერი მოხდება ლეგალურად.

მოგეხსენებათ, ადამიანები, როდესაც ჩვენი ქვეყნიდან არალეგალურად მიდიან, მათ სამუშაოს დაწყება უჭირთ. უჭირთ ღირსეული ანაზღაურების მიღება და უხდებათ ბევრი დაბრკოლების გადალახვა. ამაში ეხმარება ჩვენი ქვეყანა და შესაბამისად - გერმანია. იქ ჩასვლისას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ექნებათ ღირსეული ანაზღაურება და შემდეგ 90 დღეში უკან დაბრუნდნენ.

შეიძლება ეს 90-დღიანი შეზღუდვა რომ არ იყოს და განუსაზღვრელად მიდიოდნენ, ამ შემთხვევაში დაგეთანხმებოდით, რომ ეს შეუწყობდა მიგრაციას ხელს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ჩვენი თანამოქალაქეები არალეგალად დარჩნენ. ამას 100%-ით ვერ გააკონტროლებ, ეს წარმოუდგენელია. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავშივეა ჩადებული, რომ ჩვენს მოქალაქეებს გერმანიაში 90 დღით ყოფნის უფლება აქვთ. შესაბამისად, დასაქმებაც ლეგალური იქნება. კი, დღესაც შესაძლებელია 90 დღით უვიზოდ წასვლა, მაგრამ დასაქმებით ვერ დასაქმდები. დღეს, მე რომ შენგენის ქვეყნებში წავიდე, იქ სამი თვე უნდა ვეძებო არალეგალური გზებით სამუშაო. ამაში ვუწყობთ ხელს, რომ ეს პერიოდი ლეგალურად დასაქმდნენ“.

უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი **ნინო წილოსანი** აღნიშნულ პროექტს დადებითად აფასებს. ის ვერ ხედავს საშიშროებას, რომ მიგრაცია გაიზარდოს. პირიქით, მისი განცხადებით, ქართველები გერმანიაში დიდ გამოცდილებას მიიღებენ.

„ეს არის შესაძლებლობა, რომ ქართველმა ადამიანებმა ღირსეულ პირობებში ევროპული გამოცდილება მიიღონ. ეს არის მიღებული პრაქტიკა ევროკავშირის ქვეყნებს შორის სამუშაო მიგრაციასთან დაკავშირებით. ამ პრაქტიკას სხვადასხვა ქვეყნები აქტიურად იყენებენ.

აღნიშნული პროქტის მიხედვით, ჩვენი მოქალაქეები უკან აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ. ამ პროგრამაში მონაწილე ადამიანების ჩართულობა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მათ დაბრუნებას რისკები არ ახლავს. შეიძლება, ამ ყველაფერში პოზიტივი დავინახოთ. კერძოდ კი, გერმანიაში სამუშაო გამოცდილების მიღების პირობებში ეს ადამიანები დაუბრუნდებიან საქართველოს და აქ გააგრძელებენ კარგი დაგროვილი გამოცდილებით საქმიანობას“.

* * *

აღნიშნულ პროექტზე ჯერ კიდევ 2019 წელს „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და ყოფილი თავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილი** საუბრობდა.

„უამრავი ქართველი დღეს საშოვარზე წასულია საზღვარგარეთ, იქ მუშაობს და ძირითადად, აბსოლუტური უმრავლესობა მათი არის დასაქმებული არალეგალურად. ჩემი ინიციატივა იყო ეს და მამუკა ბახტაძესთან ერთად განვიხილავდით. სპეციალურად გუნდი ჩამოვაყალიბეთ, ჩვენ შეგვიძლია და უკვე აქტიურად ვმუშაობთ რამდენიმე თვეა, ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებთან, და ვაფორმებთ კონტრაქტებს და მივდივართ ამაზე, რომ შევავსოთ ის დეფიციტი, რაც ევროპელებს აქვთ. ევროპელებს აქვთ სამუშაო ადგილები და აკლიათ სამუშაო ძალა, ჩვენ არ გვაქვს სამუშაო ადგილები, ეს არის ჩვენი ძირითადი პრობლემა... სადაც მაღალი ხელფასია, იქ გადაედინება მუშახელი, მაგრამ ცივილიზებულად ხდება ეს, ისინი არ არიან ღირსებაშელახულები.

ამ პროცესს ჩვენ დავიწყებთ ძალიან აქტიურად... შეიძლება რამდენიმე ასეული ადამიანი უკვე შემდეგ გაზაფხულზე მოვახერხოთ და გავუშვათ სეზონურ სამუშაოზე“, — განაცხადა იმ დროს ბიძინა ივანიშვილმა.

ასე რომ, ივანიშვილის იდეა 2 წლის შემდეგ ხორციელდება და საქართველოს მოქალაქეებმა გერმანიაში დასაქმებამდე რეგისტრაცია უნდა გაიარონ.

გთავაზობთ იმ კრიტერიუმებს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები უნდა აკმაყოფილებდნენ, რათა გერმანიაში სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმება შეძლონ.

ქეთი გიორგაძე

დასაქმების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- **უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;**
- **ასაკი 18 წლიდან 60 წლამდე;**
- **გერმანიაში გამგზავრებამდე 3 თვით ადრე პერიოდში არ უმოგზაურია შენგენის სივრცეში;**
- **ფიზიკური ჯანმრთელობა;**
- **მოსავლის აღების სამუშაო გამოცდილება და მოტივაცია;**
- **ნებისმიერი მიზეზის (დარღვევის) არარსებობა, რაც იწვევს ქვეყანაში ხელახლა შესვლის შეზღუდვას;**
- **გერმანული ან ინგლისური ენის ელემენტარულ საკომუნიკაციო დონეზე ცოდნა (ჯგუფურად დასაქმების შემთხვევაში, აუცილებელია ერთმა წევრმა მაინც შეძლოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია). ენის ცოდნის მოთხოვნას დამსაქმებელი განსაზღვრავს.**

პანდემია და... აბსურდის თეატრი

ვაქცინას დაჩიპვასთან და რელიგიურ საკითხებთან არანაირი კავშირი არ აქვს... ადამიანებს ჯერჯერობით პანდემია უფრო ანადგურებს, ვიდრე ვაქცინაცია!

ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი **მეუფე ნიკოლოზი** ამბობს, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა თხევადი ჩიპი არ არის, რომ ადამიანების „დაჩიპვა“ გამოიწვიოს, მაგრამ არსებობს ერთი ტიპის ვაქცინა, როდესაც კოვიდი შეჰყავთ თვითონ ორგანიზმში, რათა ორგანიზმმა იმუნიტეტი გამოიმუშაოს და არის კიდევ მეორე ტიპის ვაქცინა, რომელშიც საერთოდ არაა კოვიდი და ეს ვაქცინა შეჰყავთ ორგანიზმში იმისთვის, რომ ადამიანის იმუნიტეტი გაძლიერდეს და გახდეს ინფექციის ამტანი. შესაბამისად, თუკი ექიმს შეეშალა და ვაქცინა (ანუ ინფექცია) დიდი დოზით შეიყვანა ორგანიზმში, შეიძლება ამან ლეტალური შედეგი გამოიწვიოს.

იხ. 11 გვ.

აქედან გამომდინარე, მეუფე ნიკოლოზი ასკვნის, რომ ვაქცინის გაკეთება ადამიანის თავისუფალი არჩევანი უნდა იყოს და, ვინც ვაქცინას გაიკეთებს, მას ზიარების უფლებას არ ჩამოართმევენ, არ გამოაცხადებენ ღმერთისა და ხალხის მტრად. ამის მიუხედავად, მეუფე დასძენს, რომ, თუ ეს საკითხი პირადად მისი გადასაწყვეტი იქნება, ვაქცინას არ გაიკეთებს, რადგან ცხოვრებაში არანაირი ვაქცინა არ გაუკეთებია.

„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“

ყველა ადამიანი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს და რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს, თავისი ფესვებიდან, თავისი სამშობლოდან მოდის, ასევე ყველა ქართველი პოეტი და მწერალი მოდის შოთა რუსთაველიდან, რომელიც ჩვენი ლიტერატურული სამშობლოა და არა მარტო ლიტერატურული, ინტელექტუალური, ემოციური, ზნეობრივი. ხშირად ამბობენ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ იდეალური სიყვარული და მეგობრობაა, მეფეთა და რაინდთა

იდეალური სახეები. არ არის ასე, იდეალური ადამიანებისგან ღმერთმა დაგვიფაროს! პოემის გმირები ცოცხალი ადამიანები რომ არ იყვნენ, თავიანთი ღირსებითა და ნაკლით, შემკულები ჰიპერბოლებით და მეტაფორებით, პოემა არ შედგებოდა. იდეალური პროპორცია თუ არ დაირღვა, შიგადაშიგ ჩარჩოდან არ ამოვარდა, მშვენიერს ვერ მიაღწევ.

მშვენიერი ქალები, უშიშარი და ერთგული რაინდები, ბრძენი და გულუხვი მეფეები უპირისპირდებიან შავ ეშმაკეულ ძალებს და იმარჯვებენ.

მეფის, ანუ ქვეყნის მმართველის მთავარი თვისებაა გონიერებასთან, გამჭრიახობასთან, უშიშრობასთან ერთად, თანაგრძნობა ადამიანის მიმართ და, აქედან გამომდინარე სიკეთე, ქველმოქმედება.

„მეფეთა შიგან სიუხვე ვით ედემს
ალვა რგულია“...
„მიეც გლახაკთა საჭურჭლე,
ათავისუფლე მონები!“...
„უხვად გასცემდე, ზღვასაცა შესდის
და გაედინების“ და სხვ.

ჩემი ცხოვრების დიდმა ნაწილმა საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაიარა და ცეკას მდივანი, რა თქმა უნდა, ქველმოქმედი ვერ იქნებოდა. მერე გადავედით კი არა, გადავხტით კაპიტალიზმში. გაჭირვებულების ფენა გაიზარდა, მას დაემატნენ ისინიც, ვინც ქვეყნის სულიერ, მხატვრულ ღირებულებას ქმნიდა და ერს თუ კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება გამოაცალე, ის შეიძლება ეთნიკურ ჯგუფად იქცეს.

აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ჩუმად, ათეული წლების მანძილზე დაიწყო ამ საქმის კეთება, რასაც, ოდესღაც „მეცენატობა“ ერქვა და არა „სპონსორობა“, სიტყვა, რომელიც უფრო სკეპტიკურმა და ცინიკურმა დრომ მოიტანა. საქართველოში იყვნენ მეცენატები, გონიერი და ნათელი ადამიანები, თუმცა მათ ბევრი არაფერი შეეძლოთ, საქმიან ადამიანებს, ბიზნესმენებს კი საკუთარი სიმდიდრის გარდა, არაფერი აწუხებდათ.

და გამოჩნდა კაცი, რომელმაც 90-იანი წლების სიბნელიდან, სიცივიდან, შთაგონების სიბერწიდან გამოსულ ადამიანებს თანაგრძნობა გამოუცხადა.

ბიძინა ივანიშვილმა, შეიძლება თქმა, გადაარჩინა ქართული კულტურა, როცა სულ ერთი ნაბიჯიღა გვაკლდა ეთნიკურ ჯგუფად ქცევამდე. ეხმარებოდა შიმშილის ზღვარზე მყოფ მწერლებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, რომლებიც სიბნელეში გაყინული ხელებით ვერ წერდნენ ლექსს თუ მუსიკას, ყიდდნენ ყველაფერს, რაც გაჩნდათ, მაგრამ შიმშილი კარზე იყო მომდგარი.

ამ ორიოდე წლის წინ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მსახიობის და პიროვნების პანაშვიდზე, მისმა ცოლმა თქვა: – ათი წლის წინ მოგიწევდათ მოსვლა, ბიძინა ივანიშვილი რომ არაო.

ბატონი ბიძინა აშენებდა ეკლესიებს, ფაქტობრივად ააშენა დანგრევის პირას მისული რუსთაველის თეატრი, ოპერა, უნივერსიტეტი: დიდი წინააღმდეგობის – უგუნურთაგან ლანძღვის და გინების მიუხედავად, დენდროლოგიური პარკი შეკვეთილში, საქართველოს დაუბრუნა გაყიდული ლიკანი, დანგრეული და გაუბედურებული აბასთუმნის მშენებლობა დაიწყო, ქუთაისში აშენდა ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ევროპული სტანდარტების მიხედვით. ალბათ, კიდევ ბევრი რამ გამომრჩა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საქართველოს არასდროს ასეთი ქველმოქმედი არ ჰყოლია, ასეთი მფარველი, თანამგრძნობი ადამიანი...

– აქვს და იმიტომო. – ვისაც აქვს, ყველაზე მეტად უჭირს დათმობა, უფრო დახმარება სხვა ადამიანისთვის, ქვეყნისთვის, ამას ვხედავ მთელი სიცოცხლე...

რა ამბავი ატყდა: – ხეები მიაქვს სახლშიო! ხეები, რომლებსაც ან მოჭრიდნენ ზამთარში და ცეცხლს შეუკეთებდნენ ან საერთოდ, ვერავინ ამჩნევდა მათ, ძაღლების გარდა. არადა, ისეთი პარკი ააშენა შეკვეთილში, მნახველები ამბობენ, სამოთხეში გვეგონა თავიო. ეს წუთები, წამები არის, ალბათ, ის ძაფები, რომლებითაც მიბმული ვართ თუნდაც ისეთ გაუბედურებულ ცხოვრებაზე, პანდემიამ რომ მოგვიტანა...

„ამ ჯოჯოხეთისთვის,
ამ ბედისწერისთვის,
ღმერთო, მისახსოვრე ბაღი სიბერეში!
(მ. ცვეტაევა)

ამბობს პოეტი, და ბაღი რომ ააშენო, ხე უნდა გიყვარდეს, ბალახი და ქვა...

ჩვენ ვაჟა-ფშაველას შვილები ვართ, თუმცა ყველას არა აქვს ეს გაცნობიერებული, ვიღაცას შეიძლება გაეცინოს კიდეც ვაჟას სიტყვებზე: **„ვიცი, რომ ქვას ტვინი არა აქვს, მაგრამ ხომ ფიქრობსო“**. ადამიანი, რომელსაც ეს ესმის, ლექსსაც რომ არ წერდეს, შემოქმედია მაინც.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს 65 წელი უსრულდება და მას მიანიჭეს მსოფლიოში ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო „საპატიო ლეგიონის ორდენი“. საფრანგეთში ამ ორდენს განსაკუთრებულობისთვის ანიჭებენ პოლიტიკოსებს, მოაზროვნეებს, მწერლებს და სხვ.

მინდა მივულოცო ეს პატივი ბატონ ბიძინას, მინდა, რომ ძალიან დიდხანს იყოს ის ასეთი, როგორიც არის, თავის მშვენიერ და ნიჭიერ ოჯახთან ერთად, თავის სამშობლოსთან ერთად, რომლისთვისაც ის ყოველთვის იზრუნებს, თავისი სულიერი წყობიდან, ხასიათიდან გამომდინარე. ასეთი ადამიანი ძალიან ცოტა მეგულება მსოფლიოში, ასეთი, როგორზეც, საკუთარი თავიდან გამომდინარე იტყოდა ძველი და ძლიერი გერმანელი მარტინ ლუთერი: „აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“

ლია სტურუა
ტელ: 593313133

ბიძინა ივანიშვილი მსოფლიოს ცნობილ ფილანტროპებს შორის

ფრანგული გამოცემა „CONTREPOINTS“ საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მსოფლიოს ცნობილ ქველმოქმედებს შორის ასახელებს.

გამოცემა სტატიას აქვეყნებს სათაურით – „მილიარდერები, რომლებიც ქველმოქმედებას განსხვავებულად ახორციელებენ“.

„ილონ მასკი, ბილ და მელინდა გეიტსები, ბიძინა ივანიშვილი, მაკკენზი სკოტი, მინ კაო და ჩარლზ ფენი ამტკიცებენ, რომ არსებობს არაერთი გზა, გამოიყენო შენი სიმდიდრე მსოფლიოსა და შენი მეზობლების პირობების გასაუმჯობესებლად“, – ნათქვამია სტატიის შესავალში.

ბიძინა ივანიშვილი: ქველმოქმედება მთელ ქვეყანაში ცხოვრების დონის ასამაღლებლად

„როდესაც იანვარში საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი პოლიტიკური ცხოვრებიდან წავიდა, მან ეს შესაძლებლობა გამოიყენა და განაცხადა, რომ საკუთარი აქტივების 95 პროცენტზე მეტს, ანუ 1.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ქონებას თავისი ოჯახის ფონდს უტოვებდა, რითაც ის იმავე კატეგორიაში მოექცა, სადაც ცნობილი ფილანტროპები მოიაზრებიან, როგორებიც არიან გეითსები, ბაფეტი და სხვები. 1995 წელს დაარსების დღიდან, „ქართუ ფონდს“ 3.2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი აქვს გაცემული. არც აქ ყოფილა ფოიერვერკები ან ბრჭყვიალები, ეს იყო მხოლოდ ამ კავკასიური რესპუბლიკის განვითარების სამსახურში გამოჩენილი ხელგაშლილობა: მთელი ქვეყნის მასშტაბით 400 სკოლა აშენდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ან აღიჭურვა და 100 ათასზე მეტმა მოსწავლემ მიიღო ახალი სასკოლო ინვენტარი.

ქუთაისში აშენდა სრულიად ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომელიც დაფინანსდა თითქმის ერთი მილიარდი აშშ დოლარით, მიზნად ისახავს მომავალი თაობის ქართველთა ტექნიკური ცოდნის განვითარებას და ქართველ მეცნიერთათვის საერთაშორისო კვლევით ქსელებში მონაწილეობის გაუმჯობესებას. მიუნხენის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საპარტნიორო შეთანხმებას ხელი უკვე მოაწერა და სხვებიც აუცილებლად შეუერთდებიან მის რიგებს“, – აღნიშნულია სტატიაში. აქვე ნათქვამია, რომ განათლება არ არის ერთადერთი სექტორი, რომელსაც მისი ქველმოქმედება ეხება.

„აქტიურ მხარდაჭერას უწევს სოფლის მეურნეობას, ჯანდაცვასა და ინფრასტრუქტურასაც. ამდენად, „ქართუ ფონდს“ დაფინანსებული აქვს სანერგე მეურნეობების, თანამედროვე სასათბურე მეურნეობების, სამაცივრე-სასაწყობო მეურნეობებისა და ლაბორატორიების შექმნა.

საჩხერის სამედიცინო ცენტრმა 46 000 ქართველს მისცა სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება შეიქმნა 1200-ზე მეტი ექიმის საშუალებით, რომლებსაც პრაქტიკული სწავლება სასწრაფო დახმარების მიმართულებით ჩაუტარდათ. 300 კილომეტრზე მეტი სიგრძის გზები და 554 კილომეტრის სიგრძის გაზსადენი აიგო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა“, – აღნიშნავს გამოცემა.

სტატიაში ასევე წერია, რომ ბიძინა ივანიშვილმა წამყვანი როლი იკისრა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სრულმასშტაბიან რესტავრაციაში, როგორიცაა ისტორიული ქართული ბალნეოლოგიური საკურორტო ქალაქი წყალტუბო, უნიკალური კლიმატით განთქმული კურორტი აბასთუმანი.

„ქართუ ფონდს“ ასევე წვლილი შეაქვს გარემოს დაცვასა და კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლაში. მიმდინარე წლის დასაწყისში „ქართუ ბანკმა“ გამოაცხადა, რომ საქართველოს დედაქალაქ თბილისის ცენტრში მთაწმინდის მთის ქედზე 700 ჰექტარზე გადაჭიმული ტყე მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში აღდგება.

ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს ასევე თბილისის ბოტანიკურ ბაღს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არსებულ დაცულ ტერიტორიებს და შეკვეთილში არსებულ დენდროლოგიურ პარკს. დიახ, „ქართუ“ ფონდმა დააფინანსა შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ბოტანიკური ბაღია, რითაც გადაშენების პირას მყოფ მრავალი ჯიშის ხესა და ცხოველს დაიცავს 60 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე გადაჭიმულ სივრცეში“, – აღნიშნულია სტატიაში.

მეაბრეშუმეობა, როგორც სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგი, უნდა აღვადგინოთ!

პატივცემულო რედაქცია!

ერთხელ კიდევ გიგზავნით სტატიას საქართველოს ძირძველ დარგზე - მეაბრეშუმეობაზე, სადაც არა მარტო მეცნიერების, არამედ საქართველოს სოფლის მოსახლეობის გულისტკივილს გიზიარებთ. თქვენი გაზეთის 2018 წლის 21 აგვისტოს №166-ში გამოქვეყნებული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების სტატია „მეაბრეშუმეობა ეროვნული მეწარმეობის ტრადიციულ დარგად უნდა დარჩეს“, რომელმაც მკითხველთა ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ განვლილ ორზე მეტ წელიწადში დარგისთვის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა.

კიდევ ერთხელ შევახსენებთ პატივცემულ მკითხველს და მათ, ვისაც ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარება ხელეწიფებათ, რომ მეაბრეშუმეობა საქართველოს უძველესი და ტრადიციული დარგია, მას საქართველოში თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ის ყოველთვის განიხილებოდა როგორც შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, ოჯახის ფულადი შემოსავლების ზრდისა და ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების წყარო. მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი დიდი მოწონებით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. და უფრო მეტიც, დიდი აბრეშუმის გზა საქართველოზე გადიოდა. „საქართველოს მმართველნი უცხოელ დამპყრობლებს აბრეშუმით უხდიდნენ ხარკს“, ხოლო ისინი ქვეყნის ეკონომიკის დაცემისა და ხალხის დამორჩილების მიზნით, ვაზთან ერთად თუთასაც ჩეხდნენ.

საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების მასშტაბებზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: მე-20 საუკუნის 60-იან წლებში იწარმოებოდა ცოცხალი პარკი – 4,0-4,4 ათასი ტონა, გრენა – 4,6-5,1 ტონა, მათ შორის 80 კგ სუპერელიტური, ხამი ძაფი-450-500 ტონა, ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი – 4,5-5,0 მილიონი გრძივი მეტრი, 1,0 მილიონამდე თუთის ნერგი. ქვეყანაში გაშენებული იყო 8,5 ათასი ჰა თუთის პლანტაცია და მილიონობით ძირი ერთეული ნარგაობა. მეაბრეშუმეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ათობით მილიონი მანეთი ავსებდა ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტს.

გასული საუკუნის სამოციან წლებში მეაბრეშუმეობით დაკავებული იყო 120 ათასამდე ოჯახი. თუთის დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭის“ გავრცელებამდე – 1964 წელს საქართველოში მეაბრეშუმეობიდან ფულადი შემოსავალი 17 მილიონ მანეთს აღემატებოდა და წარმოებაში 14 -15 ათასი სამუშაო ადგილიც იყო გარანტირებული. ამასთან, წარმოებული პარკი მთლიანად აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, 1957 წელს წარმოებულ მთლიან პროდუქციაში (208.700,5 ათასი მანეთი) მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი შეადგენდა 5,4 %-ს, ხოლო 1964 წელს – 5,6 %-ს, რაც ნამდვილად სოლიდური მაჩვენებელი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს სისტემაში 1959 წელს წარმოებული იყო 204.441,5 ათასი მანეთის პროდუქცია, საიდანაც მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი 56,5 %-ს შეადგენდა. თუ სოფლის მეურნეობის სისტემაში მეაბრეშუმეობას სხვა დარგებთან შედარებით მოკრძალებული ადგილი ეკავა, სამაგიეროდ, საფეიქრო მრეწველობაში მას ერთ-ერთი პრიორიტეტული მდგომარეობა ჰქონდა და ამ კუთხით ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისთვის საუკეთესო დარგს წარმოადგენდა.

როგორც სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, მეაბრეშუმეობა საქართველოში სწორი და მიზანმიმართული პოლიტიკის გატარების პირობებში ყოველთვის იყო მომგებიანი. მას უამრავი ეკონომიკური რეზერვი გააჩნია აბრეშუმის პარკის, აბრეშუმის ძაფის, აბრეშუმის გრენის და ბოლოს აბრეშუმის ქსოვილის ექსპორტის შემთხვევაში.

დღეისთვის მეაბრეშუმეობის დარგი განადგურებულია. ხოლო მასზე ზრუნვა მეცნიერების და ცალკეული ენთუზიასტი პრაქტიკოსების იმედად არის მიტოვებული. მიუხედავად ამისა, მეაბრეშუმეობა ისევ ფესვგადგმული ქართველი კაცის ყოფაში, რომ სახელმწიფოს მხრიდან მცირედი ხელშეწყობის პირობების შექმნის შემთხვევაში იგი ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს ეკონომიკაში.

დღეისათვის მეაბრეშუმეობის დარგის მდგომარეობა კრიტიკულია, რაც გამოწვეულია მე-20 საუკუნის 60-იან წლებში (1964 წელი) თუთის ხის მიკროპლაზმური დაავადება „წვრილფოთოლა სიხუჭუჭით“, რომლის შედეგად ქვეყანაში ამოიძირკვა 15 მილიონი თუთის ხე, ხოლო შემდეგ 90-იან წლებში, საკვები ბაზა მთლიანად განადგურდა, რაც, სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც გაგრძელდა.

დარგი სახელმწიფოს ნების მიხედვით უნდა იყოს სუბსიდირებული, მაგრამ ჩვენი აზრით ეს მხოლოდ საწყის ეტაპზე, შემდეგ დარგი თვითონ შეინახავს თავის თავს და სახელმწიფოსაც დიდ მოგებას მოუტანს. მეაბრეშუმეობა არ არის კენკროვანი კულტურების ან მოცვის განვითარების პროექტი, სადაც რამოდენიმე წელიწადში მოგებას ღებულობენ და მათი შედარება მეაბრეშუმეობასთან არ არის სწორი, ვინაიდან დარგის აღორძინებას წლები და ეტაპები სჭირდება.

სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურიდან მეაბრეშუმეობის ჩამოშორებით გაუარესდა ეკოლოგიური გარემო, გაძლიერდა მიგრაციის პროცესი, მოიკლო ოჯახური ბიუჯეტის შემოსავლებმა და მნიშვნელოვნად შემცირდა დასაქმების დონეც.

დარგის უსაფუძვლო კრიტიკოსთა მისამართით კიდევ ერთხელ ვიმეორებთ – საყოველთაო და აღიარებული ჭეშმარიტებაა ისიც, რომ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, მეაბრეშუმეობაში ძირითადად სოფლის მოსახლეობის – ქალების, მოსწავლეების, პენსიონერების და უნარშეზღუდული ადამიანების შრომაა გამოყენებული, რაც საუკეთესო პირობებს ქმნის შრომის ოჯახური კოოპერირებისთვის და ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებისთვის, ხოლო ისინი კი შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომელიც მოზარდ თაობას ბავშვობიდანვე უნერგავს შრომისადმი სიყვარულს, რაც აღზრდის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. თუმცა ზოგიერთი ხელმძღვანელი (ცენტრიდან, რეგიონიდან) სათანადოდ ვერ აფასებს ოჯახური შრომის როლს და მნიშვნელობას სოფლის მომძლავრების, სოფლის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

გაუმართლებლად მიგვაჩნია ისიც, რომ 2003 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობას დარგის რეაბილიტაცია-აღორძინების საპროგრამო დადგენილება არ მიუღია. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთ ვითარებაში სამთავრობო სტრუქტურების ლოგიკა უნდა იყოს დარგის აღორძინების დამაიმედებელი და არა მისი დაუმსახურებელი – ცრუ პროპაგანდა, რომ „მეაბრეშუმეობა არარენტაბელური დარგია“, „საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეაბრეშუმეობას პერსპექტივა არა აქვს“, „მეაბრეშუმეობას კერძო სექტორმა მიხედოს“ და ა. შ. სამწუხაროდ, აღნიშნული მოსაზრებები დაედო საფუძვლად მეაბრეშუმეობის საწარმოო ინფრასტრუქტურის ლიკვიდაციას და შესაბამისად მართვის ორგანიზაციული სისტემის გაუქმებას. ლოგიკურად დადგა შედეგიც – მეაბრეშუმეობამ, როგორც ეროვნული მეწარმეობის ტრადიციულმა ნაირსახეობამ ფუნქციონირება შეწყვიტა.

მაგრამ დარგს აღორძინება, რეაბილიტაცია და განვითარება სჭირდება – ეს არის საქართველოს სოფლის მოსახლეობისა და წარმოების მუშაკების დაკვეთა და ყველამ – სამთავრობო უწყებებმა, მეცნიერებმა და დარგის სპეციალისტებმა, ყველაფერი უნდა გააკეთონ ამ დაკვეთის შესასრულებლად.

მეცნიერები დიდი გულისტკივილით წერენ, მთავრობის ეკონომიკური გუნდი არაფერს არ აკეთებს!!!

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის განმტკიცების დღევანდელ ეტაპზე ვითარება იცვლება და დარგის აღორძინება სახელმწიფოს ინტერესებში უნდა მოიაზრებოდეს, რაც სრულყოფილად უნდა იქნეს გამოყენებული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული აბრეშუმი რენტაბელური იქნება, თუ აკადემიის წინადადებებს და რეკომენდაციებს, მის ძალისხმევას ხელი შეეწყობა მეაბრეშუმეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესამუშავებლად, აგრეთვე მის მიერ შემოთავაზებული პროექტებით სერიოზულად დაინტერესდებიან როგორც ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურები, ისე ინვესტორები. მიზანშეწონილია, შეიქმნას სამთავრობო კომისია შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო, საფინანსო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. კომისიამ მეაბრეშუმეობაში არსებული მდგომარეობის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე უნდა შეიმუშაოს საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენა–განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2021-2030 წლებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების საკითხებით კარგა ხანია ძალზე დაინტერესებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია II, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობს ინვესტორების მოძიებას და მათი მეაბრეშუმეობით, როგორც სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგით, დაგულისყურებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით:

აკად. გურამ ალექსიძე;
პრეზიდენტი,

აკად. გივი ჯაფარიძე;
ვიცე-პრეზიდენტი,

აკად. ელგუჯა შაფაძიძე.

რატომ კეთდება ბუნდოვანი განცხადებები დავითგარეჯის კუთვნილების თაობაზე, როგორც ე.წ. კარტოგრაფის, ისე ყოფილი ხელისუფლების მხრიდან, ამის შესახებ for.ge-ს მეცნიერებათა აკადემიის რელიგიის კომისიის ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე ესაუბრება.

გიორგი ანდრიაძე: შევარდნაძის დროს მელაშვილი თვითონვე აწერდა ხელს, რომ ჩიჩხიტური და უდაბნო ჩვენს მხარეს იყო, მაგრამ სააკაშვილის დროს სხვა ბრძანება მიიღო...

გიორგი ანდრიაძე: მაგათ სხვა გზა არ აქვთ, ვგულისხმობ მელაშვილსა და ილიჩოვას, რადგან ხელი მოაწერეს ისეთ დოკუმენტს, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით, დავითგარეჯის სადავო ტერიტორია უკვე აზერბაიჯანის ნაწილია. ეს სააკაშვილის რეჟიმის დროს მოხდა და ამაში ამ ხალხმა ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი, მაგრამ ადრეც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, ისინი არ არიან ბოლო ინსტანცია, ვინ მიაღებინებდა მათ გადაწყვიტილებას? არ გეგონოთ, მათ ხელს ვაფარებ, ან რამეს ვამართლებ, უბრალოდ, არც ერთ ქვეყანაში არანაირი კომისია არ იღებს მსგავს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკური ხელისუფლება და ამდენ ხანს რას მარჩიელობს ჩვენი ხელისუფლება, ვერ გავიგე. რად უნდა ამას დიდი გამოძიება, თუ ჩვენ ხელთ გვაქვს 1938 წლის რუკა, რომლის მიხედვითაც, ეს ტერიტორიები საქართველოსია და ეს რუკა იპოვეს ილიჩოვას უჯრაში, ყველაფერი ცხადია.

სააკაშვილის რეჟიმმა კიდევ ერთი ანტიქართული საქმე ჩაიდინა, ძალიან ბევრი ასეთი საქმე აქვს ჩადენილი, მაგრამ „ოცნებას“ ეძინა 8 თუ 10 წელი? უბრალოდ, კოჰაბიტაციაში იყვნენ ერთმანეთთან, ჩახუტებულები. ახლა რაღაც გაახსენდათ და დაიწყეს პოლიტიკური მასკარადი.

– მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე რეალურია და საქართველოს საზიანოდაა გადაწყვეტილებები მიღებული, რასაც ხანდაზმულობის ვადა არ აქვს, მაინც ჩანს პოლიტიკური დაკვეთა?

– თვითონაც ამბობს ეს ხალხი ამას. ყველაზე საინტერესო ფაქტი ის არის, რომ წლების წინ იგივე პიროვნება – მელაშვილი 1938 წლის რუკით ხელმძღვანელობდა, სულ სხვა სიტუაციას ადგენდა და ეს ხდებოდა სააკაშვილის მოსვლამდე პერიოდში. იმ დროს იგი ადგენდა ისეთ რუკას, სადაც ჩიჩხიტური და სადავო ტერიტორიები საქართველოს მიწაზე იყო. სააკაშვილის რეჟიმის დროს კი სიტუაცია იცვლება. თავის დროზე ჩვენც ჩართულნი ვიყავით ამ პროცესში, იმ დროიდან ვაპროტესტებდით ამას, შევარდნაძემ ვერ გაბედა ეს, ეშინოდა, თორემ მის დროსაც იგეგმებოდა დავითგარეჯის გადაცემა.

– შევარდნაძე ჰეიდარ ალიევის მეგობარი იყო, ეს მეგობრობა დავითგარეჯის დათმობას გულისხმობდა?

– დიახ, მაგრამ მაინც ვერ გაბედა გადაცემა, ეს გაბედა სააკაშვილმა. ილიჩოვა და მელაშვილი მხოლოდ შემსრულებლები არიან. რაც გამოდიოდა **„კალიგულა იმპერატორის“** ბრძანებით, ისინი ამას უსიტყვოდ ასრულებდნენ, თანამდებობას დატოვებდნენ თუ არა, მინიმუმ, ციხეში მოხვდებოდნენ, თუკი არ შეასრულებდნენ ამ ბრძანებას.

– სააკაშვილი პირად მეგობარს უწოდებდა ილჰამ ალიევს, მაგრამ გარეჯის დათმობის სანაცვლოდ რას მიიღებდა? აქ ფინანსური ინტერესები იკვეთება, მათ შორის, „სოკარიდან“ გამომდინარე ინტერესებიც?

– სააკაშვილის ზოგადი პოლიტიკა ასეთი იყო. მას უყვარდა ქუჩებისთვის უცხო ადამიანების სახელების დარქმევა, რომლებსაც არავითარი დამსახურება არ ჰქონიათ საქართველოს წინაშე. ერთ-ერთი ასეთი იყო ჰეიდარ ალიევიც, რომლის სკვერი და ძეგლები თბილისსა და რუსთავში, ქვემო ქართლშია მოფენილი. ეს არალოგიკურია, რადგან ამ ადამიანს არაფერი დაუმსახურებია საქართველოს წინაშე. ვახტანგ გორგასლის ძეგლის გვერდით რომ დგამ ამ ძეგლს, ეს არის შეურაცხყოფა. საერთოდ, გარეჯის თემაც რომ არ იყოს, ალიევის ძეგლის ამ ადგილას დადგმა და სანაპიროსთვის მისი სახელის წოდება დიდი დანაშაულია. ეს უნდა შეცვლილიყო, მაგრამ ცვლის „ქართული ოცნება“? არ ცვლის, აქედანაც ჩანს, რომ კოჰაბიტაციაშია და თამაშობს რაღაცას. მოგეხსენებათ, სანაპირო იწყება და მას ჰქვია ზვიად გამსახურდიას სახელი, ამის შემდეგ შუაში გრძელდება ალიევის სახელით, ეს ხომ მარაზმია, ისევე, როგორც ალი და ნინოს შემთხვევაში. რისთვისაა ეს ბათუმის ძეგლი? რომ რეკლამირება გაუკეთონ თურქულ თემატიკას. თურქეთი პარტნიორია, მეზობელია, მაგრამ ასეთი ქცევა არც ერთ ქვეყანაში არ არის, ვერ ვიპოვით ანალოგს, რაც საქართველოში ხდება ამ იდიოტური ძეგლების დადგმასთან დაკავშირებით.

– გარეჯის სანაცვლოდ რა უნდა მიეღო სააკაშვილის რეჟიმს?

– თვითონვე ამბობს სააკაშვილი, ჩემზე ჭორაობენ, რომ ამდენი და იმდენი თანხა ავიღეო, თვითონვე ასახელებს რაოდენობას, რა თქმა უნდა, ეს უფულოდ არ იქნებოდა, რადგან „სოკარი“, ანუ აზერბაიჯანის მხარე ძალიან ხელგაშლილად არიგებს ფულს ქართული საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. აქ იყო მაღალი დაკვეთა, სააკაშვილმა ყველაფერი გაყიდა, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, ენგურჰესიდან დაწყებული, თბილგაზით დამთავრებული.

– ყოველ შემთხვევაში, ივერი მელაშვილზე ამბობენ, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი თანხები და საზოგადოებამ შეუგროვა გირაოს თანხა. ეს ქართული ხასიათის დიდსულოვნებაა, თუ ბედოვლათობა? როგორც ამბობენ, მელაშვილი უბრალო სახლში ცხოვრობს გარეუბანში.

– მაგათ არავინ არ აღირსებდა ფულს, სააკაშვილის ხელში ეგენი იყვნენ მშიერმუცელა მონები, რა ბრძანებაც მისცეს, ეს ბრძანება მელაშვილმა შეასრულა, დღესაც თავის შემკვეთებს იცავს. მას სხვა გზა აღარ დარჩა და რა ქნას?

– შეიძლება, მასზე კომპრომატები ჰქონდათ, რის გამოც კომპრომისზე მიდიოდა წინა ხელისუფლებასთან?

– კომპრომატებიც შეიძლება ჰქონდათ, მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ მას ხელი მოწერილი აქვს დოკუმენტზე, ეს უკვე მომხდარი ფაქტია. ახლა „ოცნებამ“ აიღოს ეს რუკა და დაიწყოს, გაანახლოს აზერბაიჯანთან მოლაპარაკება, მაგრამ ამას არ აპირებენ. თალაკვაძემ ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ განაცხადა, ეს ჩვენი, ანუ საქართველოს შიდა პრობლემაა და აზერბაიჯანთან ურთიერთობას არანაირად არ შეეხებაო. პირდაპირ თქვა ამ ადამიანმა, ეს არის ჩვენი შიდა პოლიტიკური სპექტაკლი და მასკარადიო. ანუ აზერბაიჯანს ამ საკითხზე არ შევაწუხებთო.

– მაშინ რისთვის მოიპოვეს ეს რუკები, დავით ხიდაშელი რატომ გამოცხადდა პატრიოტად?

– ეს შიდა პოლიტიკური თემა დასჭირდათ ნაციონალების გასაშავებლად.

– ანუ დავით ხიდაშელის მიერ მოპოვებულ რუკას ესენიც დაბლოკავენ?

– ღმერთმა ქნას, გამოიყენონ, დააბრუნონ უკანონოდ გასხვისებული ტერიტორია, მაგრამ ჯერჯერობით ამას კეთილი პირი არ უჩანს. 1938 წლის რუკა ძალიან დიდი მონაპოვარია, უბრალოდ, ქართულმა მხარემ ეს დოკუმენტი ჩადო უჯრაში და იხელმძღვანელა სხვა ანტიქართული რუკებით, რომელიც სტალინის შემდეგ შეიქმნა. ახლა მელაშვილი და მისი ადვოკატები გვარწმუნებენ, თითქოს 200-ათასიანი მასშტაბის რუკა წამგებიანია საქართველოსთვის, მაგრამ საამისოდ არანაირი არგუმენტი არ აქვთ, ამიტომაც არ სხდებიან დებატებში, შეიძლება, არ დასხდნენ ვიღაც აგრესიულ ოპონენტებთან დებატებში, მაგრამ დასხდნენ, ბატონო, ჩემთან დებატებში და ამ თემას ამოვწურავთ ნახევარ საათში. რას ნიშნავს, წუნიანი რუკა? ეს ხომ ოფიციალური დოკუმენტია. რაც მთავარია, თვითონ აწერდა მელაშვილი ხელს შევარდნაძის დროს პროექტს, რომ ჩიჩხიტური და უდაბნო იყო ჩვენს მხარეს. სხვას რომ გაეკეთებინა ეს, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ზუსტად მელაშვილი აწერდა ამას ხელს, თუმცა შემდეგ მელაშვილმა მიიღო სხვა ბრძანება და გააკეთა სხვა საქმე

– მეუფე იაკობმა თქვა, თუ სახელმწიფოს არ შეუძლია, მაშინ სასულიერო პირები დავიბრუნებთ გარეჯის სადავო მონაკვეთსო. თუ არის აუცილებელი საპატრიარქოდან ან თქვენ, ან რომელიმე სხვა პიროვნება ჩაერთოს კომისიის მუშაობაში, აზერბაიჯანთან მოლაპარაკების პროცესში?

– საპატრიარქოს მხრიდან უნდა იყოს ვინმე ჩართული, რადგან კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც იურიდიული დოკუმენტია, განსაზღვრულია, რომ ჩვენს ტერიტორიაზე მდებარე ყველა ეკლესია-მონასტერი წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის საკუთრებას. ამდენად, დავითგარეჯი არის არა სახელმწიფოს საკუთრება, არამედ საპატრიარქოს საკუთრება, როგორც დანარჩენი ეკლესია-მონასტრები. შესაბამისად, საპატრიარქოს ეკუთვნის აქ მთავარი სიტყვა. სახელმწიფოს დაცვისა და მზრუნველობის ქვეშაა ეს ძეგლები, მაგრამ იურიდიულად ეს არის საეკლესიო საკუთრება, რომელიც სახელმწიფომ აღიარა. საპატრიარქო ახლაც ჩართული უნდა იყოს ამ საქმეში და საპატრიარქოს წარმომადგენელი ოფიციალურად მონაწილეობდეს მოლაპარაკებებში. როგორი პატრიოტული განწყობაც არ უნდა ჰქონდეს ვინმეს, არა მგონია, სასულიერო პირებმა შეძლონ სადავო ტერიტორიის დაბრუნება.

– თვით მელაშვილიც ამბობს, რომ დავითგარეჯის თემის უკან რუსული ინტერესია და ისინი რუსული ინტერესის გამო დააპატიმრეს. თქვენ რას ფიქრობთ?

– ნებისმიერი ასეთი საერთაშორისო რეზონანსის მქონე საქმე ვიღაცის ინტერესებს ემთხვევა. არ გამოვრიცხავ, ამ შემთხვევაში, ეს საქმე რუსულ ინტერესებსაც ემთხვეოდეს, მით უმეტეს, რომ რუკა რუსეთიდან მოხვდა საქართველოში. ეს დიდი თამაშია, მაგრამ არაფერს არ ცვლის საქართველოსა და ქართველებისთვის, ვის ინტერესებსაც არ უნდა ემთხვეოდეს ეს თემა – რუსეთის, ინგლისის, თუ თურქეთის. საქართველოს აქვს ეროვნული ინტერესები და ეს ინტერესები ზოგჯერ შეიძლება დაემთხვეს რომელიმე ქვეყნის ინტერესს. ამის გამო ჩვენს ინტერესებზე უარს ვერ ვიტყვით.

– საინტერესო ისაა, რუსეთიდან როგორ მოხვდა საქართველოსთვის სასარგებლო რუკა? რუსეთმა ეს როგორ დაუშვა?

– საქართველოში რუკა ჰქონდა ილიჩოვას უჯრაში ჩაკეტილი, სხვა რუკა ფიზიკურად არ არსებობდა, ეგენი იყვნენ სახელმწიფოც და ყველაფერიც. სახელმწიფო კომისიამ რუკა გადამალა, შესაბამისად, შეიძლება რუსეთს ამ ეტაპზე რაღაც ინტერესი გაუჩნდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

– ეს ადამიანები ბრალდებულები იყვნენ, ახლა გამოუშვეს, შეიძლება ისევ შეაბრუნონ ციხეში. აზერბაიჯანთან მიმართებით ეს საქმე რაიმე დივიდენდს მოგვცემს თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ არასწორად იყო დაკომპლექტებული კომისიის შემადგენლობა – მიწის ამზომველი აღმოჩნდა კარტოგრაფის ნაცვლად, თანაც დანაშაულებრივი ნიშნები გამოიკვეთა. ხომ არ დავაგვიანეთ ამ პროცესში?

– მაგაშია საქმე, რომ რვა წელია, ესენი არიან ხელისუფლებაში და ეს საქმე ახლა გაახსენდათ. მთელმა საქართველომ და ყველა გონიერმა ადამიანმა იცის მსოფლიოში, რომ სააკაშვილის რეჟიმი დანაშაულებრივი იყო, მისი პარტია საერთოდ აკრძალული უნდა იყოს, რადგან უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და ერთ-ერთი დანაშაულია დავითგარეჯის საქმე. ახლა არჩევნების წინ რომ დავითგარეჯის თემატიკას შიდა სამზარეულოში ატრიალებენ, დაიწყონ თავიდან მოლაპარაკებები აზერბაიჯანთან, მე სულ არ მაინტერესებს, ილიჩოვა იჯდება ციხეში, თუ სააკაშვილს ჩამოიყვანენ და ჩასვამენ, მთავარია, საზღვრის გავლება ამ რუკის შესაბამისად მოხდეს და საქართველოს დაუბრუნდეს უკანონოდ დაკარგული ტერიტორია. მთავარია, აზერბაიჯანთან დავიწყოთ მეგობრული მოლაპარაკება.

– აზერბაიჯანელები წამოვლენ დათმობაზე, როცა ალბანურ ძეგლად აცხადებენ ამ კომპლექსს?

– ეს რთული პროცესია, ეს ხელისუფლება და გინდაც ნაცები არ არიან მოტივირებულები ამისთვის, ამის შინაგანი ძალა არ აქვთ, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესები დაიცვან. არა მარტო გარეჯთან მიმართებით, არც სხვაგან არ დაიცავენ, ეს არ არის ქართული ძალა...

მშობლიური მიწა-წყლის ღირსი დიდი მამულიშვილი...



მზე... ამოსევდილი – ლევან გოთუა

სულ ახლახან ქართველმა მკითხველმა მიიღო შესანიშნავი პოეტისა და ფილოლოგის, ჟურნალისტისა და მკვლევრის **თამარ შაიშმელაშვილის** წიგნი **„მზე... ამოსევდილი – ლევან გოთუა“,** რომელიც ეფუძნება სადისერტაციო ნაშრომს – **„ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“,** რომლის დაცვაც 2019 წლის 3 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა (თემის ხელმძღვანელი, ქალბატონი **ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია**).

XX საუკუნის დასაწყისის მძაფრმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ლევან გოთუას მოღვაწეობას საგრძნობი კვალი დაამჩნია. საპატიმროებში, საკონცენტრაციო ბანაკებსა და მკაცრი რეჟიმის სატუსაღოებში გატარებული 22-წლიანი პერიოდის პუბლიცისტური და ეპისტოლარული ნააზრევი თავისუფლებისთვის ბრძოლის სულისკვეთებით იწერებოდა.

მასალის სრულყოფილად წარმოსაჩენად და აქამდე არსებული ფრაგმენტულობის პრობლემის დასაძლევად, სამჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული მწერლის პუბლიცისტური მოღვაწეობის ყოველი პერიოდი თამარ შაიშმელაშვილის ნაშრომში განხილულია ეპოქის ჭრილში, აქტუალურობის, თემატიკის, ჟანრული თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ მხრივ, ლევან გოთუას პუბლიცისტიკა კომპლექსურად პირველად არის გაანალიზებული.

მწერლის პუბლიცისტური ნააზრევის კვლევა ეფუძნება ლევან გოთუას შემოქმედების ესთეტიკურ თვალსაზრისს, მხატვრული ფსიქოლოგიზმის წარმოჩენას სამეცნიერო ლიტერატურის ჭრილში.

წიგნი ლევან გოთუას პუბლიცისტიკის შესწავლისა და მეცნიერული კვლევის პირველი ცდაა:

მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად წინ წამოწეულია ლევან გოთუას პუბლიცისტური ნააზრევის უმთავრესი წახნაგები – ეროვნული მსოფლშეგნებითა და დიდაქტიკური პუბლიცისტური პათოსით გამორჩეული სტატიები და საახალწლო მიმოხილვები, ის უმთავრესი პოსტულატები, რომლებიც აუცილებელია ერის მომავლის განსაზღვრისთვის.

ლევან გოთუას ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში თხრობის ორი პლანი იშლება – სამშობლოსგან შორს მყოფი მწერლის ნაფიქრ-განცდილის ფონზე მკვეთრად გამოხატული მისი პიროვნული მრწამსი და, მეორე მხრივ, საბჭოთა სატუსაღოებისა და საკონცენტრაციო ბანაკების ჯოჯოხეთური სურათების აღწერა, რეჟიმის მამხილებელი პათოსით.

ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი უაღრესად თანამედროვე და აქტუალურია, მუდამ სიახლისა და პროგრესის მომხრეა...

წიგნის რედაქტორები გახლავან **თემურ ჩალაბაშვილი, დალი ჩიკვილაძე**;

რეცენზენტები: პროფესორები: **სოსო სიგუა, მანანა ასათიანი, ნინო მამარდაშვილი, ქეთევან შენგელია**. წიგნის **დიზაინერია გოჩა სოზიაშვილი,** გარეკანზე კი მოთავსებულია **ნათელა ინჯიაშვილის,** ფერწერული ტილოს „გრემის“ რეპროდუქცია.

კრებულში გამოქვეყნებულია ივანე ჯაფარიძის რეცენზია, **დალი ჩიკვილაძისა** და **ივანე ამირხანაშვილის** წერილები.

როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, ამ დისერტაციის მომზადებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აწგარდაცვლილ მეცნიერს, ბატონ **ჯუმბერ ჯიშკარიანს,** რომლის სურვილიც იყო სრულყოფილად შესწავლილიყო და გამოცემულიყო ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა. თამარ შაიშმელაშვილი მადლობას უხდის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელი შეუწყო, რომ ხსენებული დისერტაცია ბოლომდე მისულიყო. წიგნი გამოსცა ცნობილმა გამომცემლობა „საარმა“.

აქვე გთავაზობთ ცნობილი პუბლიცისტისა და ლევან გოთუას ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევრის, ბატონ ივანე ჯაფარიძის წერილს მცირეოდენი შემოკლებით.

მამუკა ვაშაკიძე

„ლევან გოთუას გარდაცვალებიდან 46 წლის შემდეგ“...

ტრფობის პატიმარი

ლევან გოთუას

დანისლული მზე რად არი,
სვე სად წყდება თმენის?
მე ვარ ტრფობის პატიმარი
საქართველოს ბედის...

გაუშლელი ვარდი ღამის
ყინულეთშიც მღერის,
მე ვარ დარდი გზამდინარის
მარადიულ ღელვის...

ეს ვარამი ქედუხრელთა
ნატყვიარებმწველი,
მე ვარ სისხლი ბერმუხებთა
და ნაღვლიანმცველი...

ეკალბარდზე განთიადის
აყვავდება ფერი...
მე ვარ სხივი და მთიების
ცავარსკვლავებმფერი...

სატევარო, სად ნავარდობ,
მიერთგულე ზენით...
მე ვარ ჟამი სამარადო
ხარირემის მზერის...

გაუშლელი ვარდი ღამის
გულაგებშიც მღერის...
მე ვარ ტრფობის პატიმარი
საქართველოს ბედის...

თამარ შაიშმელაშვილი

დღეს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მოწმენი ვართ. მისასალმებელია, რომ ლევან გოთუას გარდაცვალებიდან 46 წლის შემდეგ, გამოჩნდა პიროვნება, ვინც გაბედა და ხელი მოჰკიდა ლევან გოთუას შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების – პუბლიცისტიკისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობის მონოგრაფიულ შესწავლას, რომლის ანალიზის საფუძველზე მრავალსახოვნად და მასშტაბურად წარმოგვიდგინა დიდი მწერლისა და მამულიშვილის პიროვნული თუ შემოქმედებითი პორტრეტი.

შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, ლევან გოთუას შემოქმედებასთან დაკავშირებით სიტყვა „გაბედა“ რომ ვიხმარე, მაგრამ ამას აქვს თავისი ახსნა. ჯერ კიდევ 1976 წელს გულისტკივილით წერდა ელგუჯა მაღრაძე, რომ **„ლევან გოთუას მწერლური არცნობისა და აუღიარებლობის ტრაგედია არ განუცდია, პირიქით, მკითხველებს იგი ძლიერი სიყვარულით უყვარდათ, პატივს სცემდნენ, ეთაყვანებოდნენ და აღმერთებდნენ, თუმცა ქართულ კრიტიკას ლევან გოთუასთან ცივი ომი ჰქონდა გამართული და ზავი, თუნდაც დროებითი, ლევანსა და ქართულ კრიტიკას შუა, ჯერაც არაა ჩამოგდებულ-დამყარებულიო“.**

სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება ასეთი დამოკიდებულება ლევან გოთუას შემოქმედებისადმი და ამ ფონზე უთუოდ მისასალმებელია თამარ შაიშმელაშვილის ძალისხმევა, რომ იგი შეება ძალზე რთულ, შრომატევად საქმეს და საინტერესო კვლევა-ანალიზის შედეგად საპაექროდ წარმოადგინა მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც, ჩემი აზრით, ღირსეულ ადგილს დაიჭერს ლევან გოთუას შემოქმედებისადმი მიძღვნილ შრომათა შორის.

ყველას, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ლევან გოთუას ცხოვრებასა და მოღვაწეობას, კარგად მოეხსენება, რომ მწერალმა თავისი სიცოცხლის მესამედი გადასახლებებში, საკონცენტრაციო ბანაკებსა და სიკვდილმისჯილთა საკნებში გაატარა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას არც უფლება და არც საშუალება არ ჰქონდა, ჟურნალ-გაზეთებსა თუ გამომცემლობებთან ეთანამშრომლა და პუბლიცისტიკის ჟანრშიც ეთქვა თავისი მართალი სიტყვა. იგი მხოლოდ გადასახლებიდან გადასახლებამდე ახერხებდა ქვეყნისთვის აუცილებელ და საჭირბოროტო საკითხებზე წერილების მეჭდვას.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, იმითაა საინტერესო, რომ ესაა ლევან გოთუას მრავალმხრივი შემოქმედების ერთ-ერთი განშტოების – პუბლიცისტიკისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდა. ავტორი იკვლევს მწერლის პუბლიკაციებს, მასში არსებულ პრინციპებსა და დებულებებს, სხვადასხვა ეთიკურ თუ ესთეტიკურ შეხედულებებს, რითაც მთლიანობაში გვაჩვენებს ლევან გოთუას ლიტერატურული აზროვნების სიღრმეებსა და მასშტაბურობას.

ლევან გოთუას საქართველოში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა და მამის – პართენ გოთუას რჩევით ჩავიდა ვლადიკავკაზში, სადაც მისი მეგობარი გიორგი ნათაძე ცხოვრობდა, რომელიც იმ დროს ქართული ეკლესიის მღვდელი იყო და სკოლაშიც ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

საყურადღებოა ისიც, რომ სწორედ ლევან გოთუას მიერ 1927-29 წლებში ვლადიკავკაზიდან გამოგზავნილი წერილებით გახდა ცნობილი ქართულ სათვისტომოზე, სადაც ამ დროს 10 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა, არსებობდა ქართული ეკლესია და ქართული სკოლა.

ვლადიკავკაზის პერიოდის კვლევისას თამარ შაიშმელაშვილს მიუგნია საინტერესო კორესპონდენციისთვის, „ხმა კავკავიდან“, რომელიც 1927 წლის გაზეთ „კომუნისტის“ №195-ში დაბეჭდილა „ლ.გ.“-ს ფსევდონიმით. დისერტანტი იკვლევს და ადასტურებს, რომ მისი ავტორი ლევან გოთუაა, ამას კი იმით ხსნის, რომ ,,თავისუფალ გადასახლებაში“ და ჩეკაში აღრიცხვაზე მყოფი მწერალი საკუთარ სახელსა და გვარს სრულად ვერ მოაწერდა, რადგან ეს იყო ხმა კავკავიდან, რომელსაც უნდა გამოეფხიზლებინა ქართველი საზოგადოება და მათი ყურადღება იქით მიემართა, სადაც ეროვნული საქმის კეთება თანადგომის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ დროს ვლადიკავკაზის ქართულ სათვისტომოში, ძირითადად, მოხევეები და მთიულები სახლობდნენ, რომლებიც, მიუხედავად ქართული სკოლისა და სხვა კულტურული დაწესებულებების არსებობისა, განათლების მხრივ ჩამორჩენილები იყვნენ და ამას ეკონომიკური მდგომარეობით – უსახსრობით ხსნიდნენ. სწორედ ამიტომ მოუწოდებდა კორესპონდენციის ავტორი საქართველოს კულტურულ დაწესებულებებსა და განათლების სახალხო კომისარიატს, ყურადღება მიექციათ და მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ კავკავის ქართული სათვისტომოსათვის.

ნაშრომიდან ჩანს, რომ თამარ შაიშმელაშვილს დიდი რუდუნებით უმუშავია საქართველოს ეროვნულ არქივში, სადაც მიუგნია ძაუგსა და ყიზლარში თავისუფალი გადასახლების პერიოდში შექმნილი ლევან გოთუას რამდენიმე ხელნაწერისა და ესკიზისათვის – „ქარი უმთვარო“ და „მრუმი ტიალი“, რომლებშიც სამშობლოდან განდევნილი ახალგაზრდა მწერლის განცდებია გადმოცემული.

ამ პერიოდის წერილებიდან და პუბლიკაციებიდან მოხმობილი მასალით, თამარ შაიშმელაშვილმა შეძლო, ეჩვენებინა, გადასახლების მკაცრი რეჟიმის პირობებში, 19-22 წლის ჭაბუკი ლევან გოთუა როგორ ხდება თანდათანობით ერისა და ქვეყნის ჭირისუფალი, როგორ ყალიბდება ღირსეულ მოღვაწედ და ნამდვილ მამულიშვილად.

არ შეიძლება, არ ითქვას ლევან გოთუას ღვაწლზე ძეგლთა დაცვის პრობლემებზე და, როგორც თამარ შაიშმელაშვილი აღნიშნავს: **,,1955 წლის აგვისტოში მესამე, ათწლიანი გადასახლებიდან დაბრუნებულმა მწერალმა პუბლიცისტური წერილების უმრავლესობა სწორედ ისტორიული ძეგლების გადარჩენას მიუძღვნა. იგი მთელი არსებით ჩაება იმ პერიოდში საქართველოში ძეგლთა დაცვის ფართოდ გაშლილ კამპანიაში. მისი მიზანი იყო, საქართველოსა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოვლენა, დაცვა, აღდგენა-გამაგრება და შესწავლა“.** ლევან გოთუას მუდმივი ყურადღების არეალში იყო: დავითგარეჯა, ბაგრატის ტაძარი, ჰერეთი, მთიანეთის ძეგლები, სვანური კოშკები; მისი ინიციატივით, 200 წლის შემდეგ, ერეკლე მეორის საფლავზე დაიდო ქართულწარწერიანი ქვა, მოეწყო გრემის მუზეუმი. დიდგორთან დაკავშირებული ლევან გოთუას პუბლიკაციები გახდა მერაბ ბერძენიშვილისათვის დიდგორის დიდებული მემორიალის

მცხეთა, წმინდა ნინოს სამთავროს დედათა მონასტერი. გარდა იმისა, რომ აქ გენიალური ხუროთმოძღვრების ძეგლებია განფენილი, სულიერების დიდი ციტადელია, საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის დამადასტურებელი რეალიებით აღბეჭდილი. სამთავროს მონასტრის მარად ცოცხალი ტრადიციები, ძველი დედების თუ იღუმენიების და ძველ მოძღვართა ხსოვნა და ლოცვითი გარემო, დაუღალავ მოღვაწეობასთან ერთად, აქაურობას ყველასთვის ცნობილ, ნამდვილ სულიერ სავანედ აქცევს. მონასტრის მკაცრი ტიპიკონი, ლოცვისა და შრომის მონაცვლეობა, სრულიად საქართველოს პატრიარქისადმი ერთგულება და სიყვარული მონაზონთა ყოველდღიურ ცხოვრებაშია გამოხატული.

მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ქეთევანი მონაზონთა დასს საქართველოსთვის და სარწმუნოებისთვის წამებულთა ისტორიებს აცნობს და აყვარებს, თავისი ლექსებით, მონათხრობებით, სიმღერებით... ახლახან გამოიცა დედა ქეთევანის ლექსებისა და მოგონებების კრებული „ივერთა მზეო“, რომელიც მონასტრის კომპიუტერულ-საგამომცემლო ცენტრში მომზადდა. წიგნის გამოცემაში დახმარებისთვის მადლობას უძღვნიან ბატონ მალხაზ ამაშუკელის ოჯახს.

დიდ წარსულთან ახლოს

რას გვასწავლის დედა იღუმენია...

ყოველი დღე არაჩვეულებრივი შეიძლება გახდეს იმ გარემოში, სადაც არა მარტო ისტორიული, არამედ სულიერი სინამდვილის თანაზიარი ხდები. როცა პროზაულ თუ პოეტურ ტექსტს, თუნდაც, მემუარისტიკას, კითხულობ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის სულიერ გამოცდილებას.

წმინდა ნინოს სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვრის, იღუმენია ქეთევანის (კოპალიანი) ტექსტები ერთგვარი შემოვლითი გზით, მის მიერვე მტკივნეულად განცდილი და გააზრებული ჩვენი ქვეყნის ისტორიით თუ წარსულით გვიახლოვდება და მკითხველი ხედავს იმ რეალურ-ირეალური სამყაროს სირთულესა და იდუმალებას, რაც მონასტრის სივრცეში, სულიერი თუ ფიზიკური მღვიძარებით, სკვნილზე ლოცვით, კითხვით, აღსარებით, მეტანიით, მარადიულზე ფიქრით, ანუ მონოზონთათვის ჩვეულ გარემოში ხორციელდება.

ცნობილია, რომ ლექსები მხოლოდ სიტყვებით არ ყალიბდება, არამედ შთაგონებით, სამყაროსთან დამოკიდებულებით... დედა ქეთევანის ლექსებში არსებითი სწორედ მოტივაციაა: დამოკიდებულება სამშობლოსთან, ეკლესიასთან, წინაპრებთან, პატრიარქთან, მოყვასთან...

ჩვენი აჩქარებული დროების რიტმში დედა ქეთევანის სტრიქონები თითქოს რაღაც ზღურბლზე გვაჩერებს, უკან, სამშობლოს სულიერი წარსულისკენ გვახედებს.

შემოქმედების ნამდვილი შინაარსი, არჩეული თემის დეტალიზაცია, ისტორიული, ფაქტობრივი დოკუმენტალიზმის ნიუანსური დაცვა გახლავთ ის მნიშვნელოვანი ორიენტირი, რაზეც აგებულია დედა ქეთევანის სიუჟეტიანი თუ უსიუჟეტო ლექსები.

იღუმენია ქეთევანის გენეტიკური ძირები, გვარი „კოპალიანი,“ მეცნიერთა აზრით, წინარექრისტიანულ ეპოქაში იღებს სათავეს.

კოპალიანთა გვარის არაერთი სასულიერო პირი ემსახურებოდა საქართველოს ეკლესიას. საისტორიო არქივში დაცულია იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის დროინდელი საბუთი, რომელიც წარმოადგენს სიგელს, გაცემულს ბერ კოპალიანისადმი, რომელსაც ხელმწიფემ მამა-პაპათა სასაფლაო-ეკვდერისა და მთელი მამულების წინამძღოლობა დაუდგინა.

მეცხრამეტე საუკუნეში სასულიერო პირად კოპალიანთა საგვარეულოს ოცდაათამდე წარმომადგენელი მსახურობდა. აქედან რამდენიმემ ეკლესიის მოძღვართა საგვარეულო დინასტიაც შექმნა.

საქართველოს ეკლესიის ისტორია, წმინდათა და წამებულთა ცხოვრება, სხვადასხვა ეპოქებში საქართველოსთვის დაცემული გმირების მარადიული ხსოვნა დედა ქეთევანის შემოქმედების ძირითადი მოტივებია; დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულის მაგალითებს ჩვენი დღევანდელი ყოფიერების ფონზე.

სწორედ ეს რეზონანსი ისმის სამთავროს მონასტრის იღუმენია ქეთევანის მოგონებებშიც, როცა ჩვენი ეკლესიის ცხოვრების უახლეს ისტორიაზე გვიყვება... როცა ღირს მამა გაბრიელთან თუ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან შეხვედრებისა და საუბრების უაღრესად საგულისხმო დეტალებს აღწერს. შეიძლება წარმოვიდგინოთ, ამ მოგონებათა სახით რაოდენ ღირებული დოკუმენტები დარჩება საქართველოს ეკლესიის ისტორიას.

დედა ქეთევანის პოემა „პაატა საკაძეს,“ გიორგი საკაძის წამებულ შვილს ეძღვნება.

საუკუნეთა მანძილზე განსხვავებული ეპითეტებით მოიხსენიებდნენ დიდ მოურავს — გიორგი საკაძეს, მაგრამ ალბათ, სწორედ საქართველოს ეკლესიის წიაღში უნდა თქმულიყო მართალი აზრი დიდ ქართველ მხედართმთავარზე, სწორედ აქ უნდა ახსნილიყო სიღრმე და სიმძიმე მისი ბიოგრაფიისა და საყოველთაო ეროვნული სასოწარკვეთილებით გაჟღენთილი ეპოქისა.

ვერავინ იტყვის, რა დარჩება, რას დაივიწყებენ სამუდამოდ ან თანამედროვეობის რა ფაზაში მოხდება ფასეულობათა გადაფასება, თუ არ აღმოჩნდებიან სულიერებით აღბეჭდილი სწორი ინტერპრეტატორები ისტორიისა. ალბათ, შვებას იგრძნობდა გიორგი საკაძის დაღლილი სული, როცა მისი დაბადებიდან 430 წლის შემდგომ სრულიად საქართველოს პატრიარქმა სიონის ტაძარში მისი სულის საოხად ლოცვა აღავლინა... მისი უწმინდესობის ბრძნულმა სიტყვებმა და პოზიციამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების ცნობიერებასა და გიორგი საკაძის შემდგომ რეპუტაციაზეც საქართველოში.

დედა ქეთევანმა მთლიანად გაიაზრა გიორგი საკაძის ოჯახის ტრაგიკული ისტორია, რომელშიც არეკლილია იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ბატალიები და, ზოგადად, ქვეყნის გამოუვალი, უნუგეშო მდგომარეობა. ერთი კი ცხადად იკვეთება: მარტყოფის ბრძოლა ყველა საშუალებით უნდა მოგვეგო, ყველაფერი უნდა გაგვეღო სამშობლოს დაკარგვის აშკარა საშიშროების წინაშე...

სამწუხაროდ, არ არსებობს უკვე ლეგენდადქცეული, ყველა ქართველისთვის მტკივნეულად ძვირფასი პაატა საკაძის პორტრეტი. მხოლოდ მისი საფლავის ქვის წარწერაღაა დარჩენილი...

გიორგი საკაძეს თავის საგვარეულო მონასტერში, მშობლიურ ერთაწმინდაში, მალულად წაუღია შვილის ნეშტი და ტაძრის კედელში დაუკრძალავს.

„აქ ასვენია გიორგი საკაძის შვილი პაატა, რომელიც შაჰ-აბასმა მოკლა სპარსეთში...“ — გვაუწყებს წარწერა.

„სადაც რომ პაატა შობილა,
ის მიწა ჩვენთვის ცრემლია“...

— გოდებს ხალხური მთქმელი სოფელ ნოსტედან...

„პაატა, შვილო, სულის ტკივილო,
დიდმოურავის სისხლის ყივილო,
ირანის შაჰის მძევალ-
ტყვეექმნილო,
ნათლისმცემლივით
თავწარკვეთილო...“

ასე იწყება წმიდა ნინოს სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენია ქეთევანის ღრმად ემოციური პოემა-ბალადა, სათაურით „პაატა საკაძე.“ აქ თითქოს პასუხია გაცემული მრავალ კითხვაზე. უპირველესად კი — თუ რას ნიშნავს და რა მისია აკისრია უმანკო მსხვერპლს, რისთვის განამზადებდა უფალი ამგვარი წამებისათვის პაატა საკაძეს, ანუ ზოგადად, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანს. ეს რთული ქრისტიანული თემა ლექსში, საქართველოს ისტორიის ფონზე, დიდი სიფრთხილითაა გაშლილი, ფაქტობრივი მაგალითებითაც და გულის არგუმენტებით... მაგრამ ისიც ცხადია, რომ „უფლის განგებას ვერვინ ჩასწვდება.“ მრავალი ფიქრის აღმძვრელია ლექსის თანმიმდევრული ისტორიული ქრონიკა და წარმოდგენა იმისა, თუ **„რა იქნებოდა ჩვენი მამული, რომ არ გვყოლოდა გმირების დასი“...**

არაერთგზის, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დასმულა კითხვა, თუ რამდენად გამართლებული იყო მშობელი მამისგან შვილის ამგვარი ფიზიკური გამეტება — მსხვერპლშეწირვა. როგორც ჩანს, დედა ქეთევანს სიღრმისეულად, უსაზღვრო ტკივილით უფიქრია ამაზეც და ამიტომაცაა, რომ ლექსის ეპიგრაფად წამძღვარებულია დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: **„გიორგი საკაძეს რომ არ დაემარცხებინა სპარსელები მარტყოფის ველზე, შეიძლებოდა საქართველო აღგვილიყო პირისაგან მიწისა...“** იდგა დილემა: ან შვილი ან სამშობლო... ეს ხომ მაინც არ არის სადავო, რომ დიდი მხედართმთავარი, მთელი ოჯახით, სამშობლოს შეეწირა...

„ო, მამაჩემო, რა დიადია
სამშობლოსათვის თავის დადება,
ო, როგორ მინდა, რომ მოგეფერო
და მოგილოცო ეს გამარჯვება!..“

— ასეთია დედა ქეთევანისეული წარმოსახვითი ვერსია პაატა საკაძის პირველ რეაქციაზე, როცა განრისხებულმა შაჰ-აბასმა მას „ძაღლის ლეკვი“ უწოდა, „მამაშენმაო მთელი ლაშქარი გამინადგურა, ამომიჟლიტა“... ალბათ უაღრესად ძნელი იყო იმ პასაჟის აღწერა, როცა პაატა „უბედურების მოლოდინში“, მამის გმირობით გულანთებული, სიხარულსა და აღფრთოვანებას გამოხატავს...

ვფიქრობთ, არ არის შემთხვევითი, რომ ყოველი ქართველისთვის ძვირფას პაატა საკაძეს სამთავროს მონასტრის წიაღშიც გამოუჩენდა ნამდვილი ჭირისუფალი; მონასტრის წინამძღვარს, დედა ქეთევანს განუზრახავს, არ დაავიწყოს აწმყოსა და მომავალს, რომ „ყოველი გოჯი მშობელი მიწის გაპოხილია წინაპართ სისხლით“... „ნოსტეს ყვავილს“ და „ქრისტეს მარტვილს“ უწოდებს წამებულ პაატა საკაძეს, დღეს მშობლიური ტაძრის წიაღში რომ განისვენებს სამარადისოდ.

იღუმენიას ლექსიც ერთგვარი ყვავილია, „ნოსტეს ყვავილი“ — ლეგენდარული პაატა საკაძის სევდიან საფლავზე მოკრძალებით დადებული.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია საუკუნეების მანძილზე გვასწავლის თავისივე ისტორიით, მარტვილობითა და სასულიერო მოღვაწეების მიერ დატოვებული მემკვიდრეობით...

ჩვენი სამშობლოს სრულიად განსაკუთრებულ ადგილას, მცხეთის სამთავროს სივრცეში, წმინდა ნინოს მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ქეთევანი იმ სულიერი ძაფების აღდგენას ცდილობს, რაც დიდ წარსულთან გვაკავშირებს და სამომავლო იმედით გვავსებს.

ნინო ხოფერია

შექმნის სტიმული და საწინდარი.

1958-62 წლებში „გმირთა ვარამის“ ოთხივე წიგნის გამოსვლამ ლევან გოთუა ყველაზე პოპულარულ მწერლად აქცია. გრემის მთავარანგელოზის სამრეკლოზე წერდა „გმირთა ვარამის“ ბოლო ფურცლებს... სწორედ მაშინ მისცეს მას ,,გრემელის“ ზედწოდება. გიორგი ლეონიძე მას ყველგან გრემელად მოიხსენიებდა.

ლევან გოთუა იყო ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ დამაარსებელი 1964 წელს, მისი პირველი რედაქტორი და სახელის შემრქმევი, გრემქალაქობის დამფუძნებელი, ბუნების ნორჩ დამცველთა მეგობარი. მას იმდენად გათავისებული ჰქონდა მშობლიური მიწა-წყალი, რომ საქართველოს ბუნებას „მწვანე დედას“ ეძახდა, ხოლო „ჩუქურთმიანი დედა“ — კულტურისა და ისტორიის ძეგლები იყო. სწორედ ამიტომ წერდა ლევან გოთუა: **„ადამიანი, რომელიც არ იცნობს თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არც არის ღირსი ამ მიწა-წყლისა!“.**

თამარ შაიშმელაშვილი საკმაო ადგილს უთმობს შრომაში ლევან გოთუას პუბლიცისტიკაში გამორჩეულ წერილებს — პორტრეტების გალერეას, რომლებიც ყველა იმ პიროვნებას ეძღვნება, ვინც ეროვნულ საქმეს ემსახურება. ესენი არიან პოეტები, მთამსვლელები, მოჭადრაკეები, მსახიობები თუ ძეგლის მცველები: გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, დავით კასრაძე, ედიშერ ყიფიანი, მიქელ პატარიძე, აკაკი ბელიაშვილი, მარიამ გარიყული, ნიკო ნიკოლაძე, ივანე ბუქურაული, სიმონ გუგუნავა, გიორგი შატბერაშვილი, ჰაიდარ აბაშიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, ალექსანდრე ნეიმანი, ივანე ჯავახიშვილი, სერგო ზაქარიაძე, შალვა ღამბაშიძე, კოტე დაუშვილი, ოთარ ჭიაურელი, ნიკო ფიროსმანაშვილი, და-ძმა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, გურამ თიკანაძე, ნონა გაფრინდაშვილი, შიო ლაცაბიძე, შიო ბურდული...

თამარ შაიშმელაშვილი ითვალისწინებს რა ლევან გოთუას პუბლიკაციებში გადმოცემულ მოსაზრებებს, სადისერტაციო ნაშრომში პარალელებს ავლებს დღევანდელობასთან და გასაანალიზებლად წინა პლანზე გამოაქვს ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორებიცაა: ოჯახის სიწმინდე, დემოგრაფია, ზნეობრიობა, ქართული ენის სიწმინდის დაცვა, ნარკომანია, აზარტული თამაშები, ჩვენი ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრონობა და დედა ბუნების გადარჩენა. როცა ამ საკითხების ლევან გოთუასეულ ინტერპრეტაციას განიხილავს და აანალიზებს ავტორი, ისეთი გრძნობა გეუფლება თითქოს იგი რამდენიმე საათის წინ დაწერა ლევან გოთუამ.

თამარ შაიშმელაშვილის ნიჭიერება და მეცნიერული ალღო იმაშიც გამოიხატება, რომ იგი მყისიერად გრძნობს ლევან გოთუას გულისთქმას, მის ეროვნულ მუხტსა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლის იმპულსებს. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, აქ გამოთქმული შენიშვნებისა თუ სურვილების გათვალისწინებით, წიგნად შეიკრას და უმოკლეს ხანში მიეწოდოს ლიტერატურათმცოდნეებს, ლევან გოთუას ნიჭის თაყვანისმცემლებსა და მკითხველი საზოგადოების ფართო წრეს.

ჩვენ თამარს ვიცნობდით როგორც მშვენიერ პოეტსა და ჟურნალისტს, მრავალ კეთილ საქმეთა მოთავეს, ამ შრომით კი იგი წარმოგვიდგა, როგორც დაუღალავი მკვლევარი, ფილოსოფიურად მოაზროვნე მეცნიერი და პასუხისმგებლობით გამორჩეული პიროვნება, რომელმაც შეძლო, შეევსო ის ხარვეზი, რაც არსებობდა ლევან გოთუას მრავალფეროვან შემოქმედებაში.

ივანე ჯაფარიძე

◎ მწვრთნელი

მამაცი გული

ხანგრძლივი ძიების შემდეგ გამოჩნდა კაცი, რომელმაც, რომ იტყვიან, თავი ყულფში გაყო და საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელობაზე თანხმობა განაცხადა, ოღონდ, გასაგები მიზეზების გამო, მხარეებს შორის გაფორმებული ორწლიანი კონტრაქტის ფინანსური დეტალები ჯერჯერობით კონფიდენციალურად რჩება. იგი თბილისში 21 თებერვალს ჩამოვა.

საუბარია 43 წლის ფრანგ სპეციალისტ **ვილი სანიოლზე,** რომელიც უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში შვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა ოჯახურმა პირობებმა საყვარელ საქმიანობას ჩამოაშორა.

სამშობლოში „სენტ ეტიენსა“ და „მონაკოში“ დაწყებული კარიერა მოიერიშე მცველმა მიუნხენის „ბაიერნში“ დაასრულა, სადაც მოიხვეჭა კიდეც უმაღლესი საკლუბო ტიტულები – მოიგო ჩემპიონთა ლიგა, აგრეთვე ბუნდესლიგა და გერმანიის თასი, თუმცა, მის მიღწევათა გვირგვინს მაინც მსოფლიო ჩემპიონატზე ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მოპოვებული „ვერცხლის“ მედალი წარმოადგენს.

რაც შეეხება სამწვრთნელო ასპარეზს, ავარჯიშებდა „სამფეროვანთა“ ახალგაზრდულ გუნდს, „ბორდოსა“ და 8(!) დღით – ბავარიულ გრანდს თავკაცის პოსტიდან კარლო ანჩელოტის წასვლის შემდეგ, ვის ასისტენტადაც მანამდე მუშაობდა

დავძენთ, რომ ვილი სანიოლი „ჯვაროსანთა“ მერვე უცხოელი დამრიგებელი იქნება ბოსკამპის, თავისივე თანამემამულე ჟირესის, კუპერის, ტოპმიოლერის, შუშაკის, სეგრტისა და ვაისის შემდეგ.

გიორგი ზოთაძე

◎ 64

რჩეული ეტიუდები და პარტიები

„ფლანგებზე თამაში ჩემი საყვარელი სტრატეგიაა“
ალექსანდრ ალიოხინი
(1892-1946)

ალიოხინის სახით მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროს იშვიათი კომბინაციური ხედვის, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის დიდოსტატი მოევლინა. 1927 წელს შედგა ისტორიული მატჩი მსოფლიო პირველობაზე ალიოხინსა და ლეგენდარულ კაპაბლანკას შორის. დაძაბული ორთაბრძოლა ალიოხინის გამარჯვებით დასრულდა (6 მოგება, 3 წაგება, 25 ყაიმი).

მისი თამაში ძალზე ახლოს არის ეტიუდურ კომპოზიციებთან. გთავაზობთ ერთდროულ სეანსში ბრმად ჩატარებულ პარტიას (დაფაზე დაუხედავად).

...„ასეთი თამაშით ღირდა კი ამერიკიდან ევროპაში ჩამოსვლაო?“
პოლ მორფი (1837-1884)

ზემოთ აღნიშნული სიტყვებით ჩაიქირქილა ევროპის ტურნირის მონაწილე დელანუამ მას შემდეგ, რაც ხელი დაავლო მეტოქის დაუცველ კუს. პოლ მორფიმ სკეპტიკოსი მოჭადრაკე კომბინაციურ სტილში 6 სვლაში დააშამათა (პარიზი, 1858 წ.).

მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონად იგი 1858 წელს აღიარეს. მან დიდი ანგარიშით დაამარცხა ლონდონის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული (1851) ლეგენდარული ანდერსენი (7,5:1,5).



„კომპოზიციის ბეთხოვენი“

– ასე მონათლა ორგზის მსოფლიო ვიცე-ჩემპიონმა ეტიუდების შედგენაში დავით გურგენიძემ ქართველი ებრაელი **იოსებ კრიხელი** (1931-1988).

თანამედროვეობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა საჭადრაკო კომპოზიტორმა, საერთაშორისო დიდოსტატმა (1984) საკავშირო ჩემპიონატებში ექვსი მედალი მოიპოვა, მისი შემოქმედების გამოუქვეყნებელი მემკვიდრეობა სრულყოფილად წარმოსახა თავის ნაშრომებში დ. გურგენიძემ. კრიხელი ცხოვრობდა გორში, იყო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მოამზადა თამაზ შენგელიამ

I
ალიოხინი – უცნობი
ტერნოპოლი. 1916



მოგება

II
დელანუა – მორფი
პარიზი – 1858 წ.



მოგება

III
კრიხელი
შვედეთი | პრიზი – 1986 წ.



მოგება

I 1. e4 e5 2. d4 d5 3. ∃c3 ∃f6 4. ed ∃:d5 5. ∃e4 f5 6. ∃g5! ∃e7 7. ∃5f3 c6 8. ∃e5 0-0 9. ∃gf3 b6 10. ∃d3 ∃b7 11. 0-0 ∃e8 12. c4 ∃f6 13. ∃f4 ∃bd7 14. ♕e2 c5 (15) ∃f7! ∃g:f7 16. ♕:e6+ ∃g8g6 17. g4!

II 1. ... ∃fe8 2. ∃:c7 ∃f2 3. ∃g:f2 ♕e2+! 4. ∃g:e2 ♕g2+ 5. ∃g e1 ♕g1+ 6. ∃gd2 ♕f2+ 7. ∃gd2 ∃h5 X

III 1. ♘d8 ∃g c4 2. ♘c8+! ∃g b4 3. ∃g c6 ∃g c4 4. ∃g d6+ ∃g e/4 5. ♘b8 ∃g c4 6. ∃g e5 b4 7. ∃g f4 b3 8. ∃g e3 ∃g c3 9. ♘c8+ ∃g b2 10. ∃g d3 ∃g b1 11. ∃g c3 b2 12. ♘b8 d4+ 13. ∃g b3 და მოგება

შენიშვნა: ფრანგული დაცვის მე-15-ე სვლაზე ალიოხინმა ეფექტურად შეწირა მხედარი და პარტია გამარჯვებით დააგვირგვინა.

◎ საგზურისთვის

ქულებიც იქნება!

ევროპის ჩემპიონატების ზედიზედ ოთხგზის მონაწილე საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები სპორტულ სამყაროში უკვე ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება, ამიტომ როტერდამის აუზში დაწყებული ტოკიოს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო რაუნდის სტარტზე ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ საბერძნეთის გუნდთან სერბი მწვრთნელის დეიან სტანოიევიჩის შეგირდთა მიერ დანთებული ცეცხლი არავის გაკვირვებია.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ელეზის (4 გოლი), ბარალდისა და ვაპენსკის (2-2 გოლი) ძალისხმევით ოთხბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის მიუხედავად (მესამე პერიოდი 5:2 მოვიგეთ და ანგარიში გავათანაბრეთ – 10:10), დასკვნით მეოთხედში საბედისწერო ბურთი ელადელთა კაპიტან ფუნტულისისგან (მის აქტივში 5 ზუსტი ტყორცნაა) მაინც გავუშვით და დავმარცხდით – 10:11.

კანადა – ბრაზილია 11:7.

ისვენებდა მონტენეგრო.

მეორე ტურში თურქებთან უნდა გვეთამაშა, მაგრამ მეტოქის ბანაკში კორონავირუსმა იფეთქა და მისი გამოსვლა გამოირიცხა, ჩვენს გუნდს კი მოგება ჩაეთვალა.

კობა კობახიძე

◎ ევრობასკეტი

ზევით და ზევით...

ევრობასკეტის კვალიფიკაციაში შარშანდელმა ფეერიულმა თამაშმა, როცა ილიას ზუროსის გაწვრთნილმა „ჯვაროსნებმა“ ოთხივე უმოტივაციო, მაგრამ პრინციპული შესარჩევი ბრძოლა მოიგეს, ფიბას განახლებულ სანაკრებო რეიტინგშიც სათანადო ასახვა ჰპოვა და ჩვენი გუნდი ერთბაშად 6 პოზიციით დაწინაურების შემდეგ კონტინენტზე ფრიად საპატიო მეექვსე საფეხურამდე აღზევდა.

არნახული პროგრესი ბიჭებს ღირსეულ თამაშს წინასწარი რაუნდის დასკვნით შეხვედრებშიც ავალდებულებს, რომლებსაც უმაყურებლო თბილისის სპორტის სასახლეში სერბებთან (19 თებერვალს 19 საათზე) და ფინეთთან (21თებერვალს, ასევე 19 საათზე) გამართავენ.

აღნიშნული მატჩების პირდაპირ ტელერეპორტაჟებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგვთავაზებს.

მომავალ ბრძოლებში პარტნიორებს ვერ დაეხმარებიან ტრავმირებული ლიდერი **შენგელია,** ნბა-სა და ნკაა-ში მოასპარეზე **ბითაძე** და **მამუკელაშვილი,** აგრეთვე საუდის არაბეთში შემოღებული მკაცრი კოვიდ-რეგულაციებით შეყოვნებული **ცინცაძე,** თუმცა, **შერმადინის, ბურჯანაძის, სანაძის, ბერიშვილისა** და **მაკფადენის** სახით დამრტყმელი ძალის ნაკლებობას მაინც არ ვუჩივით.

რაც შეეხება ახალ სისხლს, პირველადაა გამოძახებული „რუსთავის“ 22 წლის ცენტრი **თვალაბეიშვილი,** ხოლო „ოლიმპის“ სულსა და გულს **ჯინჭარაძეს** ნდობა 5-წლიანი პაუზის შემდეგ გამოუცხადეს.

და, რაც მთავარია, კიდევ ერთი ნატურალიზებული ამერიკელი ლეგიონერის შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა:ესაა ესპანური „მურსიას“ 25 წლის გამთამაშებელი **კონერ ფრენკამპი,** რომელსაც ლიგა ენდესას ბომბარდირთა დავაში ჯერჯერობით საშუალო მესამე შედეგი აქვს: 16,9 ქულა, 2,3 მოხსნა და 3,6 ზუსტი გადაცემა.

მის კარიერულ გვირგვინს 2012 წელს ლიტვაში მოპოვებული 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის „ოქრო“ წარმოადგენს, სადაც ფორუმის საუკეთესო სნაიპერიც გახდა. არანაკლებ დასაფასებელია სტუდენტურ ლიგაში გრანდ „კანზასსა“ და „ვიჩიტაში“ წარმატებული წლები, ხოლო ევროპას ბერძნულ „რეტიმნოში“ ზუროსთან თანამშრომლობით გაუშინაურდა.

ვიტალი ჯაფარიძე

როდის, რამდენი, რა გზებით?!



კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზები მალე შემოვა

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია აცხადებს, რომ ქვეყანაში კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინის დაახლოებით 4 მილიონი დოზის შემოტანა იგეგმება.

„1 400 000 დოზაა დაახლოებით, რაც ჩვენ „კოვაქსიდან“ გვეკუთვნის, დანარჩენი 2 500 000 დოზა უნდა მოვიძიოთ სხვა მექანიზმებით“, — განაცხადა გაბუნიამ.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას განცხადებით, **ქვეყანა ვაქცინის შემოსატნად 3 მექანიზმს იყენებს:**

„კოვაქსის“ პლატფორმა ჩვენთვის მთავარი მექანიზმია, თუმცა მაინც არის კიდევ 2 მექანიზმი, რაც გვინდა, რომ გამოვიყენოთ. ერთი ეს არის ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობა იმგვარად, რომ მათ ის შესყიდული ჭარბი დოზა, რომელიც შესაძლოა მათთვის ამ ეტაპზე არ იყოს აუცილებელი გადმოგვცენ — შეიძლება იყოს შესყიდვის ან დონაციის სახით; ასევე, ძალაში რჩება ორმხრივი მოლაპარაკებები მწარმოებლებთან“.

მისივე თქმით, კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინის პირველ დოზებს ქვეყანა მიმდინარე თვეში ელის.

როგორც გაბუნიამ განაცხადა, **„პირველი კვარტალია რთული ყველასთვის, შემდეგ წარმოების მოცულობები გაიზრდება და მესამე, მეოთხე კვარტალისთვის უკვე შესაძლებელია, მეტი შანსი გაჩნდეს იმისთვის, რომ ჩვენ პირდაპირაც მოვიპოვოთ დოზები მწარმოებლებისგან“.**

„კოვაქსის“ პლატფორმის მონაცემების თანახმად, ქვეყნების უმეტესობა AstraZeneca-ს ვაქცინას მიიღებს.

„კოვაქსის“ პლატფორმა, რომლის ინიციატორიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაა, მსოფლიოში ვაქცინების სამართლიანი გადანაწილების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. „კოვაქსის“ მექანიზმით, დაგეგმილია Oxford/AstraZeneca-სა და Pfizer/BioNTech-ის ვაქცინების 330 მილიონი დოზის მიწოდება მსოფლიოს 145 ქვეყნისთვის. ვაქცინების მიწოდება თებერვლიდან დაიწყება. „კოვაქსის“ პროგნოზით, ქვეყნებში, ვაქცინების დისტრიბუცია ივნისამდე უნდა დასრულდეს. თითოეულ ქვეყანაში სავარაუდოდ, მოსახლეობის 3,3% აიცრება.

პლატფორმის ოფიციალური წევრობა ამარტივებს ვაქცინების პირდაპირ მიწოდებას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. „კოვაქსის“ წევრ ქვეყნებში საქართველოცაა. საქართველო „კოვაქსის“ მეშვეობით Pfizer/BioNTech ვაქცინის 29 250 დოზას მიიღებს. „კოვაქსის“ პლატფორმით საქართველოსთვის განკუთვნილი დანარჩენი დოზა Oxford/AstraZeneca-ს ვაქცინა იქნება.

ბოლო მონაცემებით, საერთო ჯამში, საქართველოში კოვიდინფიცირების 265 722 შემთხვევაა გამოვლენილი, მათ შორის 258 732 პაციენტი გამოჯანმრთელდა, 3 363 — გარდაიცვალა.

სანთელი

დიდი მწუხარებით და გულისტკივილით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი დიდი მეგობარი, შესანიშნავი მოქალაქე, ცნობილი სამეურნეო მუშაკი, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ყოფილი დირექტორი

ვახტანგ ჭეიშვილი

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

რამაზ ხუროძე, თემურ ხუროძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, დავით ზუბიტაშვილი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების სამშენებლო ფაკულტეტის №19 ჯგუფის 1976 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენივე ჯგუფელი

გურამ სიმონის ძე მიქაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინსტიტუტის მეგობრები

სპარტაკ ქობულია, მარინა გიგინეიშვილი, ოთარ და ირინა ტურაბელიძეები, ზურაბ ფოჩხუა, მამუკა ვაშაკიძე, მალხაზ დვალი, გია ლომიძე, ვატული ნადირაძე, ბონდო ქურდაძე, გიორგი ლაშხი გულითად სამძიმარს უცხადებენ კოლეგასა და მეგობარს დალი ხუნდაძეს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ნინო (ბაბრი) ორჯონიკიძის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ვაჟა-ფშაველას ქ. №48. 599 79-76-79; 568 82-09-84

(მეოთხე გვერდიდან)

პანდემია და... აბსურდის თეატრი

ერთი პერიოდი, **თენგიზ ცერცვაძეც** გამოეხმაურა ამ თემას და აღნიშნა, რომ ვაქცინაციის ირგვლივ ხშირად ვრცელდება მითები, გამონაკლისი არც კორონავირუსია, ანუ საუბარია ჩიპის ჩანერგვაზე ვაქცინასთან ერთად. თუმცა თენგიზ ცერცვაძე მიანიშნებდა, რომ, თუ ვინმეს ჩიპის ჩანერგვა სურდა, რამენაირად ვაქცინის გარეშეც ჩანერგავდა.

ჯერ კიდევ შარშან ვაქცინის მეშვეობით ე.წ. დაჩიპვის საკითხს გამოეხმაურა რუსი კინორეჟისორი **ნიკიტა მიხალკოვი**. მან კონსპირაციულ თეორიაზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც, ამერიკელი მილიარდერი და ფილანტროპი **ბილ გეითსი** კორონავირუსის ვაქცინით მთელი მსოფლიოს „დაჩიპვას“ და პლანეტის მოსახლეობის შვიდი მილიარდიდან ერთ მილიარდამდე შემცირებას აპირებდა. მიხალკოვის ამ თეორიას მძაფრი კრიტიკა მოჰყვა რუსეთშიც.

მაინც რატომ ჩნდება შიში მოსახლეობის „დაჩიპვასთან“ დაკავშირებით?!

საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტ **ვახტანგ მაისაიას** კორონავირუსის ვაქცინის მეშვეობით ადამიანების ე.წ. „დაჩიპვა“ შეთქმულების თეორიად და თანამედროვე ქართულ ფანტასმაგორიად მიაჩნია. იგი ფიქრობს, რომ, თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, მაშინ არც ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა არ უნდა გავიკეთოთ და არც სხვა ვაქცინები არ უნდა გამოვიყენოთ. ყოველ შემთხვევაში, კაცობრიობა ამ დონემდე არ არის მისული, რომ ვაქცინის მეშვეობით ადამიანების „დაჩიპვა“ შეძლოს.

თსსუ-ის პროფესორი, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი **ივანე ჩხაიძე** for.ge-სთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ნებისმიერი მოსაზრება ჩიპებთან დაკავშირებით აბსურდია. ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

„პირიქით, ყველა ჩვენგანს, ყველა ექიმს ჰქონდა ვაქცინის მოლოდინი. პანდემიის დასაწყისშივე როდესაც გამოჩნდა, რომ ჩვენ არ გვაქვს და უახლოეს პერიოდში არც გვექნებოდა ეფექტური საშუალება ვირუსის საწინააღმდეგოდ, ყველანი ველოდებოდით ვაქცინის გამოჩენას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მთელი სამედიცინო სამყარო ჯერ კიდევ გასული წლის მარტიდან დარწმუნდა, რომ არც ერთი საშუალება, რომელიც გამოვიყენეთ ვირუსის საწინააღმდეგოდ, არ იყო ეფექტური. ერთადერთ გამოსავლად რჩებოდა ვაქცინა. ამიტომ არანაირი ჩიპი, არანაირი აუტიზმი, მთავარია, ეფექტური ვაქცინის გამოყენება“, — აღნიშნა ივანე ჩხაიძემ.

ინფექციონისტი **ალექსანდრე გოგინავა** მიიჩნევს, რომ ჩიპთან არანაირ კავშირში არაა ვაქცინა, უბრალოდ, ვაქცინაცია არის თავდაცვის საშუალება დაავადებისას. შეიძლება ვაქცინის გაკეთების შემდგომ თეორიულად რაიმე გვერდითი ეფექტი განვითარდეს, ისიც იშვიათად, მაგრამ დაჩიპვასთან და რელიგიურ საკითხებთან ამას არანაირი კავშირი არ აქვს.

საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის, განათლების საკითხებში ექსპერტის, პროფესორ **ზურაბ ვახანიას** მოსაზრებით, ვაქცინის გაკეთება ექიმებისა და მასწავლებლებისთვის არ არის ნებაყოფლობითი, ამიტომ ვაქცინაცია მთლად ნებაყოფლობითი ვერ იქნება.

„აცრებს ხომ ისედაც უკეთებენ ბავშვებს, ვგულისხმობ პოლიომიელიტის და სხვა აცრებს და, თუკი რაღაცის შეპარება უნდათ, ამას აცრების მეშვეობითაც მოახერხებენ, ამისთვის სულაც არ არის საჭირო კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრა და ამის მეშვეობით მოსახლეობის ე.წ. დაჩიპვა. რა თქმა უნდა, ვაქცინაცია იძულებითი ნაბიჯია, რად გვინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ სხვა გზა არ არის. ახლა ზოგიერთები ლაპარაკობენ ჩიპების თაობაზე ამ ვაქცინაციის მეშვეობით, მე მგონი, ამის გაკეთება ტექნიკურად შეუძლებელია“, — აცხადებს ზურაბ ვახანია.

ექსპერტის მოსაზრებით, რამდენად საშიშია ესა თუ ის ვაქცინა (რუსული, ჩინური, ან სხვა წარმომავლობის), ამას მხოლოდ დრო და პრაქტიკა გვიჩვენებს. გარკვეული პერიოდის შემდეგ გავიგებთ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ ვაქცინაციას როგორი შედეგი ექნება. ლაბორატორიაში ამის გამოცდა და წინასწარ გათვლა, თუ რა მოხდება თვეების შემდეგ, შეუძლებელი იქნება. მანამდე ეს ყველაფერი რეკლამაა, პოლიტიკაა და ჩვენ უნდა დაველოდოთ პრაქტიკას. ყოველ შემთხვევაში, ადამიანებს ჯერჯერობით პანდემია უფრო ანადგურებს, ვიდრე ვაქცინაცია.

მანანა ნოზაძე

ᲙᲝᲞᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲐ ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲔᲑᲘᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ზოოპარკი დათვის და მგლის თამაშის ამსახველ ვიდეოს ავრცელებს. ზოოპარკის Facebook-ზე აღნიშნულია, რომ მათ ხშირად უსვამენ კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ცხოვრობენ თბილისში ეს ცხოველები ერთ ვოლიერში. ზოოპარკში განმარტავენ, რომ ეს სახეობები ბუნებაშიც ერთმანეთის მეზობლად ბინადრობენ, ზოოპარკში კი ტერიტორიას „გადასარევად იყოფენ“ და ხშირად თამაშობენ კიდევ.

„ვიდეოს მთავარი გმირები მგელი თამაშა და დათვი კოპალა არიან. თამაშა რატომ ჰქვია, ადვილი მისახვედრია — ბავშვობიდან უყვარდა თამაში და ახლაც, შენიშნავს თუ არა მომვლელების მიერ შეტანილ თივაში, ფოთლებში, ან ხის ქერქებში მოკოტრიალე მეზობლებს, ესეც გაქანდება და ხან ზემოდან აფუმფულებს ბოტოტა დათვებს და ხან გვერდებიდან პუწავს. კოპალაც ემეგობრება. მასაც უყვარს თამაში. მარტო დათვი თამაშშიაც ბრალიაო“, — ნათქვამია ზოოპარკის Facebook-ზე.

ᲛᲐᲠᲢᲝᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ პრემიერ-მინისტრმა იოშიჰიდე სუგამ, რეგიონული განვითარების მინისტრს ტეცუსი საკამოტოს ამ პრობლემის პირად კონტროლზე აყვანა მოსთხოვა.

იაპონიაში თვითმკვლელობების რიცხვი საგანგაშო ნიშნულზეა. პანდემიის პირობებში კი სუიციდის ფაქტებმა განსაკუთრებულად მოიმატა. აღსანიშნავია ისიც, რომ განსაკუთრებით მდედრობითი სქესის მარტოსული ადამიანები ამთავრებენ სიცოცხლეს თვითმკვლელობით.

იაპონიას კიდევ ერთი პრობლემა აქვს, ასე ვთქვათ, „ერის დაბერების“, რადგანაც იაპონიაში ახალშობილთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდება.



თვითმკვლელობების რიცხვი პირდაპირ კავშირშია დაძაბული ცხოვრების რიტმთთან, აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან!

იაპონელთა უმრავლესობას დღეს ერთმანეთთან კონტაქტი ძირითადად ინტერნეტის საშუალებით აქვს, ფსიქოლოგების აზრით კი ამ ყველაფერმა ადამიანებში საკუთარ თავში ჩაკეტვის და პირისპირ ურთიერთობის შიში გააჩინა.

იაპონიაში სულ უფრო მეტი ადამიანი რჩება მარტოხელა და ქვეყანა ამ პრობლემასთან ბრძოლას უკვე სახელმწიფო დონეზე აპირებს.

ᲚᲐᲠᲘ ᲤᲚᲘᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐ ᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲔᲕᲐ

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ და ეპატაჟური ლარი ფლინტის დაკრძალვის ცერემონია შოუს ელემენტებით იქნება გაჯერებული. წვეულება ლოს-ანჯელესში მის ერთ-ერთ ღამის კლუბში გაიმართება, სადაც შესვლა 21 წელს გადაცილებულ ადამიანს 50 დოლარად შეეძლება. „გამოსამშვიდობებელ საღამოზე“, რა თქმა უნდა, იცეკვებენ სტრიპტიზიორი გოგონები ლარის ერთ-ერთი კლუბიდან. წვეულების ბოლოს სიმბოლურად ჰაერში გაუშვებენ საჰაერო ბუშტს. 79 წლის ლარი ფლინტი 12 თებერვალს გარდაიცვალა. იგი ამერიკაში რამდენიმე სტრიპტიზ-კლუბსა და მამაკაცებისთვის განკუთვნილ ჟურნალ „ჰასტლერს“ ფლობდა.

ლარი ფლინტს ხშირად უწევდა მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა, რადგან მას უჩიოდნენ, როგორც პორნოგრაფიის პროპაგანდისტს. 1978 წელს სასამართლოს შენობიდან გამოსულს, მას იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს, რის შემდეგაც ფლინტი სამუდამოდ მიეჯაჭვა ინვალიდის ეტლს.

1996 წელს ცნობილმა რეჟისორმა მილოშ ფორმანმა მის შესახებ ფილმი „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ“ გადაიღო, რომელმაც ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი ჯილდო მოიპოვა. როგორც ჩანს, უკანასკნელ გზაზეც არაორდინარულად გააცილებენ ცნობილ მექალთანეს.

ᲝᲥᲠᲝᲡᲤᲐᲠᲘ ᲔᲘᲤᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ სიმბოლოს ეიფელის კოშკს სულ მალე ახალი ელფერი ექნება.

2024 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის საფრანგეთი განსაკუთრებულად ემზადება. ფრანგებმა გადაწყვიტეს, რომ დედაქალაქის მთავარი სიმბოლო ეიფელის კოშკი ოქროსფრად გადაღებონ. ამ ყველაფრისთვის უკვე გამოყოფილია 50 მილიონი ევრო და 60 ტონა საღებავი.

ოქროსფრად მოელვარე კოშკი განსაკუთრებით ლამაზი გამოჩნდება ოლიმპიადის დროს გადაღებულ ვიდეოებსა თუ სურათებში — აცხადებენ ფრანგები.

ქალაქში უკვე დაწყებულია სხვა სამუშაოებიც. მიმდინარეობს ელისეის მინდვრების განახლება, გალამაზები, მარსის მოედნის რეკონსტეუქცია და ა.შ.

როგორც გაირკვა, ასეთ შეფერილობაზე ოცნებობდა თურმე თავად გუსტავ ეიფელი.

2022 წლიდან თავად კოშკიც ოქროსფრად იკაშკაშებს და ყველა ის მინიატურიული ეიფელის კოშკის სუვენირები, რომელიც ქვეყნის მასშტაბით გაიყიდება.

31 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ

ᲣᲘᲢᲜᲘ ᲤᲣᲚᲤᲘ 31 წლის ახალგაზრდა მილიარდელი ქალია, რომელმაც მემკვიდრეობის გარეშე საკუთარი შრომით მილიარდები იშოვა.

მან დააარსა ინტერნეტ გაცნობის საიტი „Bumble“, რომელმაც ბოლო წელიწადში 77 % მოგება მოუტანა, რის შემდეგაც მისი ქონება 1.5 მილიარდი დოლარით გაიზარდა.

ვულფის ინტერნეტ აპლიკაცია ბოლო წლების ყველაზე მზარდ კომპანიად იქცა ამერიკაში.

ახალგაზრდა მილიარდერს ასევე მიანიჭეს პრემია „30/30“, როგორც წარმატებულ ახალგაზრდა ქალბატონს, რომელმაც თავისი ნიჭითა და ძალისხმევით მიაღწია ყველაფერს.

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲚᲣᲓᲡᲐᲮᲐᲠᲨᲘ

ᲔᲒᲕᲘᲠᲘᲞᲢᲘᲡ ქალაქ აბიდოსის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა 5000 წლის წინანდელ ლუდსახარშს მიაკვლიეს. ეს გახლავთ ნამდვილი ქარხნის მაგვარი დაწესებულება, რომელიც იმ დროისთვის საკმაოდ დიდი რაოდენობის ლუდს აწარმოებდა. მეცნიერი მუსტაფა ვაზზირი აცხადებს, რომ ფაბრიკა ფარაონ ნარმერას მოღვაწეობის პერიოდშია შექმნილი. მას 8 უზარმაზარი დარბაზი აქვს და დაახლოებით 22 ათასი ლიტრი ლუდის დამზადება იყო შესაძლებელი.

ლუდს ეგვიპტეში სამეფო რიტუალებისთვის იყენებდნენ. ტრადიციის მიხედვით გარდაცვლილ ფარაონს სამარხში ატანდნენ პურს, რომელიც არ გახმებოდა და ლუდს, რომელიც არ ამჟავდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში ლუდი 13 000 წლის წინათ იხარშებოდა, აქამდე მსგავსი მასშტაბის წარმოება აღმოჩენილი არ იყო და ითვლებოდა, რომ სასმელს ძირითადად ოჯახებში ამზადებდნენ. ამ ზომის და მასშტაბების ლუდსახარში აქამდე მსოფლიოში ჯერ არსად უპოვიათ.

მოამზადა
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐᲛ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲐ: №GE19TB7601536020100009.

(ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 18 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.2898; ᲔᲕᲠᲝ - 3.9912;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.5758;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4865; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.4717;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.9335;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3051.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0,	ᲓᲦᲔ	+7
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-5,	ᲓᲦᲔ	+5

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0	ᲓᲦᲔ	+5
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-3,	ᲓᲦᲔ	+2
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+5

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge